




ქაქი დიდუბის დარბაზიდან

თეგურ ძეცხაია:

გული მხოლოდ
იმაზე მწყდება,
რომ ფეხბურთს
თავს ვანებებ...



**სახელმწიფო
ფინანსების
ფედერაციის
პრეზიდენტის
არჩვენებში
არ ერივან**

სტაჟინანი
გულშემატკივარი
კახა ლომაია
კონკურენტის
მიუსაღება **2**



**ჩვეთვის
არავის
არაფარი
უთქვამს**

ინტერვიუ
ივო შუბაკთან **4**

■ ნაკრებიდან
გამოცდილი
ფეხბურთელები
მიღიან, შესაფერისი
ცვლა კი არ ჩანს

■ იმ თაობაში ყველაზე
ნიჭიერი ძინძლაძე
იყო, მაგრამ
ტალანტი ძარს
გაატანა. თუ კაცს
ფეხბურთის
თამაში არ
უნდა, კალით
ვერ ათამაზებ **3**

სკუდებო თასში ჩაიქნა

**ციკლონი ოლიმპიკოზა:
როგამ ინტერი დაანბრია**

მეგობ, იტალიის თასის პირველი ფინალური მატჩი არც ყოფილიყო ჩვენგან
ამხელა ყურადღების ღირსი, რომ არა... "რომა", და რომ არა ჩემპიონის კატასტ-
როფული მარცხი. გუშინ, "ოლიმპიკოზე", ლუჩანო სპალეტის "რომამ" ნამდვი-
ლი წარდგინა მოუწყო რობერტო მანჩინის ან უკვე ჩემპიონ "ინტერს" - 6:2 (!). ეს
ამ გუნდების ზედიზედ მესამე ფინალია. წინა ორში "ჯალდოროსის" ერთი მატჩიც
არ ჰქონდა მოგებული. შეიძლება ითქვას, რომაელთა ამ გამარჯვებამ ძველი ტყ-
ივილი ერთბაშად გააყურა. მანჩინიმ თასი უკვე გამოიტოვა: "ბაი, ბაი კოპა" - ასე
თქვა პრესკონფერენციაზე. სპალეტე კი მაინც ფრთხილობდა - ჯერ ზეიმი ად-
რეაო. ვინ იცის... თუმცა ვეჭვობთ, "ინტერმა" ოთხი უპასუხო ბურთით ამოავსოს
გუშინ გაჩენილი დეფიციტი...

"რომა" პირველივე წუთზე ტოტიმ დაანინაურა. 20-ე წუთისთვის კი უკვე
ოთხი გოლი (3:1) იყო გასული. მეორე ტაიმიდან პანუჩის დუბლი შეიძლება გა-
მოეყოთ, "ინტერისგან" კი მარტო კრესპო ნვალობდა. მის ანგარიშზეც დუბ-
ლია. მოკლედ, იტალიის თასს, ეტყობა, ახალი პატრონი გამოუჩნდა...

ტაქტიკური შედეგები **15**



6:2



სად იტაგაშავს რეისი?

ატლანტიკომ უარი თქვა, რას ფიქრობს სპეციალისტი?

სოსა რეისი ესპანეთში ახალი სამსახურის პოვნას ცდილობს. 24 წლის თავდამსხმელი "არსენალის" საკუთრებაა. ლონდონიდან აბარგებისას მან საჯაროდ განაცხადა, ამ კლუბში აღარასოდეს ვითამაშებო. რეისის უტაქტობამ ქომაგები უკიდურესად აღაშფოთა. მას "ემირატის" ყველა გზა მოჭრილი აქვს. გასულ ზაფხულს ხოსე ანტონიომ იჯარით "რეალს" მიაშურა. ფეხბურთელს მადრიდელტანთან ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმების იმედი ჰქონდა. მაგრამ ფაბიო კაპელოს ის არ სჭირდება. ესე იგი, "რეალში" დარჩენაც გამორიცხა. "ატლანტიკოს" სპორტულმა დირექტორმა **მიგელ ხილ მარინმა** ესპანელ მიომბილველებს აუწყა, რეისის აგენტმა მისი შეძენა შემოგვთავაზო: "მაგრამ ამ ეტაპზე ხოსე ანტონიომ არ გვეჭირდება. მისი ტრანსფერის ალბათობა ნულის ტოლია." პარალელურად, ხოსე ანტონიოს წარმომადგენლები ფეხბურთელის ყოფილ კლუბ "სევილიას" შეხვდნენ. თავის დროზე "მეთოფებმა" ანდალუსელებს რეისს 13.6 მილიონი გირვანჯა გადაუხადეს.



ხოსე რეისი

მოგვსენებთ, გასულ ზაფხულს, ხოსე ანტონიოს ნაცვლად "არსენალს" მიაშურა "რეალის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **ჟულიო ბაპტიშტამ**. ირკვევა, რომ ბაპტიშტას ლონდონში დარჩენის შანსიც მცირეა. მადრიდელტან 10 მილიონ გირვანჯას ითხოვს. **არსენ ვენგერს** კი სარეზერვო ფეხბურთელის

ტრანსფერში აშხელა თანხა არ ემეტება. პრობლემა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვარდება, თუ "რეალი" რეისის დატოვებას გადაწყვეტს. ასეთ შემთხვევაში, "არსენალს" მხოლოდ 3 მილიონის დახარჯვა მოუწევს.

სანდალი ბერგანია ითხოვს მოკვითაით შიფონი!

მისამა გაქვება მიცხრა შიფონი, ბარლინელთა მცველი ნამდვილი ყასაბია...

ფიზპროფი ყველაფერი მოსულა - ეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ მაინც ყველამ იცის. უხეში და აგრესიული თამაში არაერთ ფეხბურთელს ახასიათებს, ამ მხრივ ყველაზე ხშირად ცენტრალური მცველები და საყრდენი ნახევარმცველები გამოირჩევიან. ე.წ. ყასაბობა ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია და ასეთი მოთამაშეები საჭირონი არიან. ფეხბურთი ბალეტი არ არის, ფეხბურთი ომია, თუმცა ვინც ორთაბრძოლაში გაშლილი ფეხით შედის, საპაერო ორთაბრძოლისა იდაყვს იქნევს, ან ნერვებმოშლილი მონინალმდეგეს არ ინდობს, ისიც კარგად მოუხსენება, რომ ამისათვის გაძევება და მინიმუმ ორმატჩიან დისკვალიფიკაციას დაიმსახურებს. უხეშობაა და უხეშობაც - პერტელი მცველი **იოსა შიფონი** კი უკვე ზღვარს გადავიდა!



ამ ეპიზოდში შიფონი ზღვარგადასული უხეშობით გამოირჩევა

კვირას, ბრემენის "ვერდერთან" მატჩის 35-ე წუთზე, 29 წლის ხორვატმა ლეგონერმა წარმოდგენილი სისასტიკე გამოიჩინა. ერთ-ერთი ორთაბრძოლისას მან "მუსიკოსთა" მარცხენაფლანგელ **კრისტიან შულცს** კუნგ-ფუს ილეთი ჩაუტარა და ფეხი პირდაპირ სახეში ჩასცხო. 24 წლის შულცს თვალიდან სისხლი წასკდა, ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს და ოთხი ნაკერი დაადეს. შიფონი კი ასეთი საქციელისთვის, რა თქმა უნდა, მოედინიდან გადაქვეს. მერე რა? ხდება ხოლმე. თანაც ყველამ იცის, რომ ბერლინელთა დაცვის ბურჯი მოედანზე ნამდვილი ყასაბია, მაგრამ აქ მთავარი ის გახლავთ, რომ შიფონი ბოლო ცხრა შეხვედრაში მესამედ გადაქვეს! ეს კი ბუნდესლიგის რეკორდია (და ალბათ, არა მარტო ბუნდესლიგისა).

"იოსა შიფონი გუნდის უმთავრესი ფიგურაა, ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. ძალიან საიმედო მცველია, მაგრამ ამ სეზონში ის მხოლოდ უხეში თამაშით გამოირჩევა. ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება იმას, რომ ძალიან ცუდ სეზონს ატარებს, ისევე, როგორც მთელი "ვერტა", მაგრამ მის საქციელს გამართლება არ აქვს," - აცხადებს ბერლინელთა დამრიგებელი **კარსტენ ჰაინე**.

დედაქალაქური კლუბის ანტიგემრმა "ბაიერნთან" მატჩისას (3:2 მიუხეხილეთა სასარგებლოდ) **ბასტიან შვაინშტაიგერი** სასტიკად მოცელა, "არმიინასთან" (1:1), როგორც ჩანს, თავი მეკარედ წარმოიდგინა და **ტორბენ მარქსს**, რომელიც "ვერტას" კიბერ **ფიდლერთან** პირისპირ რჩებოდა, ფეხებში ორივე ხელით (!) ჩაუვარდა, რისთვისაც ასევე მოედანი დაატოვებინეს, ახლა კი შულციც დაასისხლიანა. პარადოქსი ის გახლავთ, რომ შიფონი ვარჯიშების დროსაც ძალიან სახიფათოა. თანაგუნდელები ამბობენ, რომ ვარჯიშების ბოლოს, ორმხრივი თამაშის დროს, შიფონთან ორთაბრძოლას ყოველთვის გაურბიან, რადგან არავის აქვს იმის გარანტია, რომ ტრავმას არ მიიღებს. დეკემბერში იოსიმი თანაგუნდელ **პალ დარდაის** (რომელიც ასევე ყასაბის მეტსახელითა ცნობილი) დაეტაკა და კინაღამ ტვინის შერყევა მიაღებინა.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ შიფონის საქმე გუშინ განიხილა. ხორვატს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. გაზეთი "ბილი" ფეხბურთელის საბოლოოდ მოკვეთას მოითხოვდა. "მთელი საფეხბურთო გერმანიის სახელით მოვითხოვთ, შიფონი ბუნდესლიგიდან მოიკვეთოს!" - წერდა სხენებული გაზეთი.

"ძალიან ვწუხვარ. მართალია, დაუჯერებლად უდერს, მაგრამ მართლა ვწუხვარ. შულცისთვის ასეთი ტრავმის მიყენება არ მინდოდა. ეს რომ განგებ ჩადენილი სისასტიკე იყოს, ჩემი ადგილი ციხეშია. ეს ნამდვილი კატასტროფა იყო, ასე არ უნდა მოგცეულიყავი, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის. კრისტიანი ვერ შევნიშნე და ბურთისკენ გაშლილი ფეხით ამიტომაც წავიდე," - ამბობს დამნაშავე და იქვე ამბობს, - "შულცს უკვე ვესაუბრე, მოუბოდიშე, სწრაფად გამოჯანმრთელება და ჩემპიონობა ვუსურვე. იმედი მაქვს, რომ ეს ბიჭი მოედანს მალე დაუბრუნდება!"

"დაიხ, იოსიმი დამირეკა და ბოდიში მომიხადა. მითხრა, მომხდარის გამო ძალიან ვწუხვარ და უფლება არა მაქვს, რომ არ დაეუფერო. მიუხედავად იმისა, რომ მის ფეხს ჩემს სახესთან არაფერი ესაქმებოდა, არა მგონია, რომ ასეთი რამ განგებ გაეკეთებინა. რაკი მომიბოდიშა, ეს თუმა ჩემთვის უკვე დახურულია. ბოდიში მივიღე," - ეს კი დაზარალებული შულცის სიტყვები გახლავთ.

გოტფრიდ ლენცი

გაუნის ორი პარიანგი

"ჩალსის" და "ლივერპულს" კარლოს ტვევისი შექმნა სურთ. "დეილი მირორში" ეკითხულობთ, რომ ლივერპულელებს, ხაიერ მასკერანოს შემდეგ, "ვესტ ჰემს" მეორე არგენტინელი ვარსკვლავი მოუნდა. დაინტერესებულია ლონდონური გრანდიც, მაგრამ ის სატრანსფერო ბატალიეში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაებმება, თუ **ფოზე მოურინიოს** საკმარის თანხას გამოუყოფენ. ტვევისი სახელოვან კლუბში გადასვლის წინააღმდეგი არ არის. ის მიიჩნევს, რომ თუკი ლონდონში მტნაკლებად წარმატებული თამაში გამოუვიდა, უფრო ძლიერი პარტნიორების გვერდით, საკუთარ პოტენციალს ბოლომდე გამოავლენს: "ნებისმიერ ინგლისურ კლუბში ვითამაშებდი. ინგლისური ფეხბურთი ჩემთვის პრობლემა აღარ არის."

2.5 მილიონი ლივარკაულს

თუ "ლივერპული" ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, ფეხბურთელებს პრემიის სახით 2.5 მილიონ გირვანჯა გადაეცემათ. გადაწყვეტი მატჩი 23 მაისს ათენში გაიმართება. ორი წლის წინანდელის მსგავსად, მერსისაიდელთა გამარჯვებას არავინ წინასწარმეტყველებს. ისინი აუტსაიდერებად მიიჩნევიან. მაგრამ თუ სენსაცია გამეორდება, თითოეული ლივერპულელი 100 ათას გირვანჯას მიიღებს, იმის მიუხედავად, თუ რომელმა მოთამაშემ რამდენი წუთი გაატარა მინდორზე. იმასაც კი, ვინც ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ რამდენიმე წუთით გააგორა ბურთი, სანამ კონკრეტულ სოლიდური თანხა ჩაერიცხება. ეს სქემა სეზონის დასაწყისშივე შემუშავდა. მას "ლივერპულის" ამერიკელ ინვესტორებთან, ტომ ჰიქსსა და ჯორჯ ჯილეტთან საერთო არაფერი აქვს.

გაუნის 4 მილიონი, კარლოსი კი იხვეს შესთავაზეს

პრესტიჟ მატეალარმა "რეალთან" კონტრაქტის პირობები შეთანხმა. მისი ესპანეთში ტრანსფერი დიდი ხნის წინათ გადაწყდა. გერმანელ მცველს "დორტმუნდთან" ხელშეკრულება ეწურება. ის "ბერნაბეუზე" თავისუფალი ატენტის სტატუსით მიდის. ამ ფაქტმა მადრიდელტანს საშუალება მისცა, კრისტიანო რივალის საკმაოდ მაღალი ხელფასი დაენიშნათ. მეტცველერი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში 16 მილიონი ევროთი გაისქელებს ჯიბეს. კიდევ ერთი ინფორმაცია სამეფო კლუბიდან. **რობერტო კარლოსი** "იუვენტუსს" შესთავაზესო, ნერს "კორიერე დელი სპორტი". მისი მტკიცებით, "რეალი" "ქალბატონს" დაუკავშირდა და ბრაზილიელი ვეტერანის დათმობაზე ჩამოუგდო სიტყვა. "იუვეს" დაცვის მარცხენა ფლანგზე **ჯორჯო კიელინი** და **კრისტიან მოლინარო** ჰყავს. ამიტომ კარლოსის ტრანსფერზე თავაზიანი უარი განაცხადა.

შვაინშტაიგერს ივნისის მატჩის გაუხადება

ბასტიან შვაინშტაიგერი მკურნალობას აგრძელებს. 22 წლის ნახევარმცველი მუხლის ტრავმის გამო ვერ თამაშობს. ორი წლის უკან მას შხამიანმა ობობამ უკბინა, ნაკბენს ყურადღება არ მიაქცია და ყველაფერი ინფექციის შეჭრითა და მუხლის გასიებით დასრულდა. შვაინი სეზონი ნაადრევად დაასრულა. მართალია, "ბაიერნის" ექიმები იმედოვნებდნენ, რომ ბასტიანი ბოლო ტურში რამდენიმე წუთით მაინც მოახერხებდა მინდორზე შესვლას, მაგრამ მათი ოპტიმიზმი უსაფუძვლო აღმოჩნდა. ფეხბურთელს, შეიძლება, სან მარინოსა და სლოვაკეთთან საკვალიფიკაციო მატჩების გამოტოვებაც მოუხდეს. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, შვაინის ნაკრებში 43 მატჩი აქვს ჩატარებული.

ჰამბურგი. ტრანსფერები HSV ზიდანს უშიფონებს

ჩრდილოგერმანულ კლუბში დიდი ცვლილებები იგეგმება

ბერგანის პირველობის დასრულებამდე 2 ტურით ადრე, "მაინცი" ბოლოსწინა ადგილზე და სამშვიდობოს მყოფ "ვოლფსბურგს" 5 ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ **იურგენ კლოპის** სამწყსო ცალი ფეხით მეორე ბუნდესლიგაშია. შანსი იმისა, რომ "მაინცი" ელიტიდან გაავრდნას გადაურჩეს, მიხერულია. ცხადია, რომ თუ ეს გუნდი გაავრდა, ეგვიპტელ ფორვარდ **მოჰამედ ზიდანს**, რომელმაც მიმდინარე სეზონში 13 გოლის გატანა შეძლო (აქედან 12 მეორე წრეში, სწორედ მას მერე გაიტანა, რაც

"ვერდერიდან" "მაინცი" გადავიდა), ჯუჯა გუნდში არავინ გააჩერებს. ყოველ შემთხვევაში, მოჰამედს ძალიან ბევრი მთხოველი გამოუჩნდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, რომ "ვერტას" და "შტუტგარტის" შემდეგ, მისი გადაბირება "ჰამბურგსაც" მოსურვა.

"გერმანული არც ისაა, რომ გუნდს მეორე ბუნდესლიგაში ჩავეყვ, ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ მივიღებ," - აცხადებს ფორვარდი, რომელსაც "მაინ-

ცთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს. მისი გვარი HSV-სთან დაკავშირებით მას მერე ნამოტივტივდა, რაც ჩრდილოგერმანული კლუბის ერთ-ერთმა შეფმა "ჰამბურგერ მორგენბოსტს" განუცხადა, ჩვენთვის ერთ-ერთი სასურველი ფეხბურთელი "მაინცი" თამაშობსო. თანაც ცნობილია, რომ "ჰამბურგს" თავდასხმის გაძლიერება სურს.

ამასობაში, ფრანკფურტის "ანტრახტის" ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ "ჰამბურგი" მათი ნახევარმცველის, **ალბერტ შტრაიტის** გადაბირებას ცდილობს. 27 წლის შტრაიტს ფრანკფურტელტანთან კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს და სხვათა შორის, მისი შექმნით "შალკეც" დაინტერესებულია. თვითონ ფეხბურთელმა უკვე არაერთხელ თქვა, რომ მომდევნო სეზონში "ანტრახტში" აღარ ითამაშებს.

ზემოთ სხენებული გაზეთი იმასაც გვამცნობს, რომ HSV-ს მინიმუმ ერთი ცენტრალური მცველისა და ერთი ნახევარმცველის ყიდვა უნდა. საერთოდ, ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე ჩრდილოელები ძალიან აქტიურები. ცნობილია, რომ მომავალ სეზონში აბსოლუტურად სხვა "ჰამბურგს" ვიხილავთ. როგორც ირკვევა, გუნდს გამოეთხოვებიან შტეფან ვესტერი, რენე კლინგბალი, ოლივერ ჰამპელი, მეჰდი მაჰდავიკია, დანიელ ლიუბოჟა და მათისა აბელი. საშა კირშშტაინი, ბენი ფალიპაბერი და ბესარტ ბერიშა კი, "ჰამბურგს" თავიანთი ნებასურვილით ტოვებენ. ხელმძღვანელები ტრანსფერზე დააყენებენ რაფაელ ვიკის, ბოუბაკარ სანოგოს და ასევე ნაიჯელ დე იონგს.



მოჰამედ ზიდანსი

შურს შიშიაბი და ლივერპულს ჯოჯოხეთში გავისზუმრები

ჰოლანდიელი ნახევარმცველი ჩემპიონთა თასის მეოთხედ მოსაპოვებლად ემზადება...

ინტერვიუ თუ მოინახება ისეთი ნარმატებული საკლუბო კარიერის მქონე ფეხბურთელი, როგორც კლარენს ზეედორფია. ჰოლანდიელი ნახევარმცველის კოლექციაში სამი ჩემპიონთა თასია. ყველაზე მეტად აღსანიშნავი გარემოება კი ის არის, რომ ზეედორფმა ეს ტიტულები სამ სხვადასხვა კლუბში მოღვაწეობისას მოიპოვა. ფეხბურთის გულშემამტკიერებს კარგად ემხსოვრებათ, რომ პირველად მან „აიაქსში“ გაიბრწყინა. მოგვიანებით, „რეალში“ აღმოჩნდა და ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს უკვე მადრიდულ გიგანტთან ერთად დაეუფლა. ბოლოს კი „მილანთან“ ერთად „იუვენტუსი“ დაამარცხა და პირადი კოლექცია მესამე თასით გაამდიდრა. ზეედორფი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს. მოგვხსენებთ, ის კვლავ ჩემპიონთა ლიგის ფინალშია. ბუნებრივია, ჰოლანდიელი ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ უმაღლეს მწვერვალზე მეოთხედაც ავიდეს. ზეედორფი „დიარო ასის“ კორესპონდენტებმა გაიხსენეს და მასთან სასაუბროდ მილანს გაემგზავრნენ. აღმოჩნდა, რომ მათ რესპოდენტს ყოფილი კლუბისადმი სიყვარული არ განუღებია. ზეედორფი პრიმერა დივიზიონში, რა თქმა უნდა, სამეფო კლუბს გულშემამტკიერებს.

- ნლები გადის, მაგრამ თქვენ არაფერი გეცხობათ. ისე გამოიყურებით, თითქოს, 20 წლის ახალგაზრდა იყო. ხომ არ გავვიხვდებით, რაში მდგომარეობს კლარენს ზეედორფის საიდუმლო? მერნმუნეთ, ამ კითხვაზე პასუხის მიღება, ფაქტობრივად, მთელ ეპანეთს აინტერესებს...

- არ ვსვამ ალკოჰოლიან სასმელებს. ნარკოტიკებს არ ვიყენებ, არ ვენევი. მთელი საიდუმლოებაც ეს არის.

- ალბათ, ბევრ რძეს მიირთმევთ...

- (იცინის) ჯანმრთელობას ძალიან ვუფრთხილდები. ვცდილობ, ფიზიკური კონდიციები შევინარჩუნო. ამისათვის რეჟიმს ვიცავ და ყოველდღიურად ბევრს ვმუშაობ. საბედნიეროდ, ერთ-ერთი შიში არ დამიკარგავს. როცა უმაღლეს დონეზე ასპარეზობ, ფიზიკურ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ჩემს საქმეში მთავარი მაინც ფსიქოლოგიაა. გონებით უნდა ვაჯანსაღო, რომ შრომა უნდა გააგრძელო. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით პრობლემებს არ ვაწყვედები. ჩემს სხეულში ბედნიერებამ მრავალი წლის წინ დაისადგურა და ახლაც იქ ბინადრობს. იცით როგორ უნდა გაიგოთ ეს გაუგებარი წინადადება? სწორედ, სხეულთ უნდა გრძობდეთ, რომ ფეხბურთის თამაში უწინდებურად გსიამოვნებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვეტირანი სპორტსმენი განწირული იქნება.

- თორიან თორიანად, მაგრამ ბავშვი დიდი ხანია აღარ ხართ. არც ახალგაზრდა მოთამაშე გეფიქრთ. უკვე სამი ქალიშვილი გყავთ. სადაცაა, მეოთხე შვილიც შეგეძინება...

- მართალი ბრძანდებით. ჩვენ ვსაუბრობთ, თეორიებს ვყალიბებთ, ცხოვრება კი საკუთარი დინებით მიდის. სამი შვილის მამა ვარ და მალე მეოთხეც შეგეძინება. ის ალბათ, მისის მინურულს მოელონება ქვეყანას (იცინის). ჩემს ასაკში ბევრი ვერ შეძლებდა საუკეთესო კონდიციების შენარჩუნებას, მაგრამ მე ეს მოვახერხე და უზომოდ ბედნიერი ვარ.

- ჭორები დადის, ზეედორფი მეოთხე ბავშვს სახელად ჩემპიონთა ლიგას დაარქმევს...

- (ხარხარებს) ვერაფერობით წარმოდგენა არ გვაქვს, ბავშვს რას დავარქმევთ.

- ახლა უფრო სერიოზულად ფანტასტიკური შანსი გაქვთ იმისთვის, რომ ათენში ჩემპიონთა თასს მეოთხედ დაეუფლოთ. ასეთ ნარმატებებს მხოლოდ პრივილეგირებული ადამიანები აღწევენ...

- აბსოლუტურად გეთანხმებით. იმის გათვალისწინებით, რომ ჩემპიონთა ლიგაში უამრავი მატჩი მაქვს ჩატარებული, თავს მართლაც პრივილეგირებულ მოთამაშედ მივიჩნევ. უკლებლივ ყველაზე უმაღლესი დონეზე, ვინც ამ თამაშებში მონაწილეობის საშუალება მომცა. ჩემპიონთა ლიგა ფანტასტიკური ტურნირია და მასში მონაწილეობა მეტისმეტად პრესტიჟულია.

- გამარჯვების შემთხვევაში მეოთხე თასს ვის მიუძღვნით?

- ჩემს გუნდს, ოჯახს, მეგობრებს და ყველა იმ ადამიანს, რომელთაც კლარენს ზეედორფის ჩამოყალიბებაში რაიმე წვლილი შეიტანეს. მათი თანადგომის გარეშე ვერაფერს შევძლებდი.

- წარსულში მოპოვებული სამი თასიდან ყველაზე მეტად რომელს აფასებთ?



- აბსოლუტურად ყველა გამარჯვება განსაკუთრებული და რომელიმე ერთს ვერ გამოვარჩევ. ყოველი ფინალი და ტროფეი გამორჩეული და სხვანაირია. ყოველ ჯერზე სხვანაირად მიხარობა. ერთი სიტყვით, ვერც ერთს გამოვარჩევ.

-რამდენიმე დღის წინ კაკას ვესაუბრე და მან მითხრა, „მანჩესტერთან“ მატჩებში ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელი კლარენს ზეედორფი იყო.

- მე მხოლოდ მის თქმა შემიძლია, რომ მანჩესტერელის წინააღმდეგ „მილანმა“ ფანტასტიკურად ითამაშა. „ოუნაიტედი“ უძლიერესი კოლექტივია, მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ „მილანი“ კიდევ უფრო ძლიერია. გამარჯვებისადმი უშრეტო ლტოლვა, ძალა და ერთუზიანობა აღმოვაჩინა. ვფიქრობ, ინგლისურ გრანდს სწორედ ამ თვისებების გამო ვაჯობებ. „მილანი“ ყოველმხრივ იმსახურება ფინალში თამაშს. მოგხსენებთ, მიმდინარე სეზონის დაწყების წინ სერიოზული და უმკაცრესი სასჯელი გამოგიტანეს. ამ დიდი დარტყმის მიუხედავად, გუნდი არ გატყდა. პირიქით, ჩვენ თავიდანვე ვაჯანსაღობდით, რომ იტალიის პირველობაზე დაკლებული ქულების გამო ძალიან გავიჭირებდით და პრობლემები ჩემპიონთა ლიგა დავისახეთ. როგორც ხედავთ, ჩვენს გზას მიზანმიმართულად მიყვებით. რა თქმა უნდა, ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ აქამდე მოვიდოდით, თუმცა დღეს საიამაყითა და პატივმოყვარეობით შემიძლია განვაცხადო, რომ „როსონერი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა. წინ ბოლო გამოცდა გველით.

- როგორ ფიქრობთ, ასეთი ძლიერი და სასარგებლო კარიერის განმავლობაში არასოდეს ყოფილხართ?

- თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაში ყველაზე მეტად ნლებს განმავლობაში მიღებული გამოცდილება გეხმარება. გულწრფელად რომ გითხრათ, ახლა გაცილებით უკეთ გამოვიყურებ, ვიდრე მადრიდის „რეალში“ თამაშისას. იმისთვის, რომ მოვლნათა ეპიცენტრში დარჩე და შენს კომპეტენციაში ეჭვი არავის შეეპაროს, პროფესიული და პიროვნული ზრდა უნდა განაგრძო. თავში აზრადაც არ უნდა გავილო, რომ დაბერდი და მეტი აღარ შეგიძლია. თუ ამას იფიქრებ, კარიერა უნდა დაასრულო.

- ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ერთმანეთს კაკა და კრისტიანო რონალდო დაუპირისპირდნენ. თქვენი აზრით, რომელია უფრო ძლიერი ფეხბურთელი?

- არ მსურს, პარალელებს გავავლო. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კაკა და რონალდო უნიჭიერესი ახალგაზრდები არიან. დროთა განმავლობაში, გამოცდილების გაღრმავებასთან ერთად ისინი კიდევ უფრო კარგად ათამაშებენ.

- როგორ ფიქრობთ, ისინი პლანეტის ყველაზე ნიჭიერი მოთამაშეები არიან?

- ჩვენი დამაინჯებელი მრავალი ნიჭიერი და საოცრად პრესტიჟული ბიჭი თამაშობს. მაგალითად ლეო მესის და თუნდაც, სამუელ ეტოო.

- იცით, რომ „რეალს“ კაკას შეძენა სურს?

- საკუთარი კარიერა ადამიანმა პირადი შეხედულებისამებრ უნდა გადაწყვიტოს. თუ კაკას სურვილი არ იქნება, სამეფო კლუბს მიზნის მიღწევა ძალიან გაუჭირდება.

- ყოველ შემთხვევაში, მადრიდელი არ ცდებიან, რომ კაკას ამდენად აფასებენ. მეთანხმებით?

- რა თქმა უნდა. და მაინც, როცა ფეხბურთელი მის კლუბში ექსტრაორდინალურ შესაძლებლობებს გამოამჟღავნებს, სხვა გუნდებს მისი ხელში ჩაგდება ძალიან უჭირთ ხოლმე. „მილანი“ მდიდარი კოლექტივია. ჩვენი ხელმძღვანელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „როსონერი“ მომავალშიც წინსვლით იაროს. ამიტომ, ძლიერი მოთამაშის გასხვისება არარაციონალური იქნება. მით უმეტეს, „მილანს“ ფული არ უჭირს.

- ესპანეთში მორალს ხვების თანახმად, მომავალ სეზონში რონალდინო თქვენი თანაგუნდელი გახდება...

- შესაძლოა, ასეც მოხდეს. რონალდინო ჩემი მეგობარია. გუნდში რაც უფრო მეტი მალალი კლასის მოთამაშე გეყვლება, მით მეტი შანსი გაქვს, რომ ტიტულებს დაეუფლო. დემერტა ქნას, გაუჩიო „სან სიროზე“ გააგრძელოს კარიერა.

- „რეალის“ გულშემამტკიერებს დღესაც აინტერესებთ, 1999 წელს სამეფო კლუბი რატომ დატოვეთ...

- მე ვიტყვოდი, რომ „სანტიაგო ბერნაბეუდან“ პრინციპების გამო წამოვედი. გულწრფელად გეტყვობ, სამეფო კლუბიდან აბარება არანაირად არ მსურდა, მაგრამ მაშინდელმა პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმა მოცემული პირობა არ შეასრულა. მე, როგორც სიტყვისა და პრინციპების ერთგულმა კაცმა, სამინელი დისკომფორტი ვგრძენდი და წამოვედი. ზოგადად ვერ ვიტან, როცა რაიმეს გამოვდებიან და შემდეგ თავს ისურულევენ. არ მინდა იფიქროთ, რომ სანსს ვაკრიტიკებ. არავითარ შემთხვევაში, უბრალოდ ჩემი გადაწყვეტილების მიზეზებს ვასაბუთებ. სამწუხაროდ, სენიორ ლორენსომ გადაწყვეტილება მიიღო და მე კლუბის შეცვლა მომიხდა. შვილებს ვფიცავარ, „რეალიდან“ წამოსვლა წარმოუდგენლად მტკივნეული აღმოჩნდა, მაგრამ ჩემს პრინციპებს ვერ ვუღალატებდი.

- არადა, წარმოიდგენია ზიდანის, რონალდოს, ბექჰემის, ფიგუსა და რობერტო კარლოსის მხარდამხარ კლარენს ზეედორფსაც რომ ეთამაშა, „რეალი“ რამდენად ძლიერი იქნებოდა...

- ვერ წარმოიდგენთ, როგორ ნოსტალგიას ვგრძენი. მადრიდში დაუფინყარი სამი წელი გავატარე. ამ სამმა სეზონმა ჩემს ზრდასა და წარმატებულ კარიერაში ფუნდამენტური როლი შეასრულა. სამეფო კლუბი მუდამ ჩემს გულში იცოცხლებს. პრიმერა დივიზიონში, რა თქმა უნდა, მას ვქომაკობ.

- სიმართლე გითხრათ, მსოფლიო გრანდიდან პრინციპების გამო ცოტა თუ ნავა...

- მახსოვს, ტოშაკის მწვრთნელობის დროს ხელმძღვანელობას შევხვდი და ვუთხარი, თუ თამაშის საშუალება არ მომეცემა, გუნდიდან წავალ-მეთქი. ძირითადად დაყენება არასოდეს მომიტოვია. უბრალოდ, ვიტანჯებოდი, რომ საერთოდ არ მინვედა მოედანზე შესვლა. თანახმა ვიყავი, შეცვლებზე მაინც მეთამაშა, მაგრამ საამისო შესაძლებლობაც არ მეძლეოდა. ამასთან, მერიდებოდა, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომის პარალელურად კოლოსალურ ხელფასს ვიღებდი.

- სხვათა შორის, ამასწინათ ანალოგიური რამ ემერსონმაც თქვა...

- თუ ფეხბურთელს ძირითადი შემადგენლობის წევრად განიხილავენ, მან სულ მცირე შეხვედრების 50 პროცენტი მაინც უნდა ჩაატაროს. თავმოყვარე ადამიანი ვერასოდეს შეეგუება სისტემატურად სკამზე ჯდომას. მით უმეტეს მაშინ, როცა არწმუნებენ, რომ ის ძირითადად ასპარეზობას იმსახურებს. ტოშაკის შემდეგ დელ ბოსკე მოვიდა და სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. სენიორ ვინსენტემ საკადრისად დამფასა და საქმეები კარგად ამეწყობა... თუმცა ლორენსო სანსმა ჩვენი შეთანხმების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო და წამოვედი.

- მაინც რა გააკეთა სანსმა ასეთი?

- სჯობს მას ჰკითხოთ. ამ თემაზე მე რომ ვისაუბრო, ძალიან არადელიკატური იქნება.

- დღევანდელ „რეალზე“ რას გვეტყვით?

- სამეფო კლუბი რამდენიც არ უნდა დააკინონ, ის მაინც მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი გრანდი იქნება. სხვა ახსნა უბრალოდ არ არსებობს. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი ყოფილი გუნდი წელს ესპანეთის ჩემპიონი გახდება.

- ფეხბურთელებს რაიმეს ხომ არ შეუთვლით?

- თუ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვიგვიმარჯვებ, „რეალის“ ბიჭებს შეეძლება ჩათვალონ, რომ ეს მათი ტიტულიცაა. ამ ნარმატებას მათ სიამოვნებით გაუწყობ.

- „ლივერპულს“ მიმართ ვენდების აღების სურვილი გამოძრავებთ?

- რა თქმა უნდა, ყველას გვსურს, რომ შური ვიძიოთ. ორი წლის წინ უდიდესი იმედგაცრუება განვიცადეთ. „ლივერპულმა“ დიდი ტკივილი მოგვაცენა და ახლა ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ მოვიგოთ. მაგერა, ამჯერად ჩვენ გავვიმართლებს. გული მეკუმშება, როცა მახსენდება, რომ ჩემპიონთა თასი ექვს წუთში დაეკარგეთ. ნამდვილი კატასტროფა იყო.

- მაშინდელი მარცხი როგორ ახსენით?

- ასახსენელი არც არაფერი გვექონდა. პირველ ტაიმში სოლიდური უპირატესობა მოვიპოვეთ. სამი ბურთით ვიგებოდა. მეორე ნახევარში ჩვენი შეტევებით დაწყდა. მეოთხე გოლის შეგდების საშუალება გვექონდა, მაგრამ მიზანს ვერ მოვაღწიეთ. ამის შემდეგ კი დაუჯერებელი რამ მოხდა. „ლივერპულმა“ ექვსწუთიან მონაკვეთში ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

- იმ ღამეს ხომ არ გიტრიათ?

- ვიტრირ, რადგან უარყოფით ემოციებსა და სასონარკვეთილებას ვერ გავუმკლავდი. ბევრისთვის არაბუნებრივია, როცა მამაკაცი ტირის, მაგრამ უნდა ვაღიარო, ამ მომენტს არ ვიზიარებ. ვფიქრობ, ემოციების გამოთქვანა პირიქით, ადამიანის სიძლიერეზე მეტყველებს.

- დღევანდელ ლივერპულზე რას ფიქრობთ?

- ის ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ორი წლის წინ. ასე რომ, ძალიან რთული მატჩი ვეღოს.

- რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ინგლისელებს აჯობოთ?

- ინგლისელებზე ერთი მეტი გოლი უნდა გავიტანო. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ გულშემამტკიერები უშეღავათო ფიზიკურ ორთაბრძოლებს იხილავენ. მაგალითად, „მანჩესტერს“ შეუძლია ტექნიკური ფეხბურთით მოწინააღმდეგეს ბურთი დაუშალოს. „ლივერპულს“ კი საამისო უნარი არ შესწევს. ამიტომ, რაფა ბენიტესი აქცენტს ფიზიკურ ძალაზე გააკეთებს. არ დაგუშვებთ, რომ მათ დაგვარჯრონ. მოკლედ, უნდა მოვიგოთ.

- ლივერპულელთაგან ყველაზე მეტად ვის უფრობით?

- შოშით არავისი გვემინია, თუმცა ვაცნობიერებთ, რომ ბენიტესის განკარგულებაში პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი არიან. სტივენ ჯერარდი გუნდის ლიდერია, მას სერიოზული პრობლემების შექმნა შეუძლია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ „მილანის“ ნახევარდაცვა მის გაუწვებელყოფას შეძლებს. ჰო მართლაც, ჩვენს მონიშნულმდეგეს თქვენი თანამემამულის, პეპე რეინას სახით საკაცარი მეკარე ჰყავს. მის კარს როგორმე გასაღები უნდა მოუწიანო. „მილანი“ ამას შეძლებს. შურს ვიძიებთ და „ლივერპულს“ ჯოჯოხეთში გავაგზავნი.

ლილა ნიკოლაივილი




საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოადგენს

ეროვნული
ოლიმპიური

ქალოსნობა

საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატი

ქალის მოსინჯვა ასანის მხარდახმარ



62 კილოგრამში გამარჯვებული რომან სარქისიანი

1-4 მაისს ქუთაისში საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი გაიმართა 17-წლამდელთა შორის. მას შემდეგ რაც გიორგი ასანიძემ უდიდეს წარმატებებს მიაღწია მსოფლიო არენაზე, საქართველოში ქალოსნობის ბუმი დაიწყო: ქალოსნობის სექციებს უამრავი ბავშვი მიანდა და დღეს ქვეყნის რამდენიმე რეგიონში სპორტის ეს სახეობა საკმაოდ კარგად ვითარდება. ასეა ქუთაისში და როცა იქაურებმა ქალოსნობის დარბაზს რემონტი ჩაუტარეს, საქართველოს ჩემპიონატებისა და ლიგის ტურნების გამართვაც კი გახდა შესაძლებელი.

ჩემპიონატში სულ 142 ქალოსანმა მიიღო მონაწილეობა, რაც ჩვენში ამ სახეობის პოპულარიზაციაზე საუბარს უსაფუძვლოდ არ ტოვებს. გარკვეულ მოსაზრებათა გამო ორგანიზატორებმა ორ წონითი კატეგორია - 40 და 45 კგ. დაამატეს და ამით თავის გამოჩენის შანსი შედარებით უმცროსებს და ტანმორჩილებს მიეცათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ტურნირმა საინტერესოდ ჩაიარა და ქართული ქალოსნობის მომავალი, მისი პოტენციალი თვალნათლივ დაგვაჩვენა. სპეციალისტები კმაყოფილებას არ მალავენ და გვარანტებენ, რომ რამდენიმე წელიწადში ხმაურიან გამარჯვებებს მოვიპოვებთ და თანაც არა ერთი საორტსმენით.

რამაზ გურბენიძე, საქართველოს ქალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: - შესანიშნავი ახალგაზრდობა მოდის. შემოიღია რამდენიმე მათგანი ახლავე გამოვარჩიო, თუმცა დარწმუნებული ვარ ხვალ სხვებიც იტყვიან თავიანთ სიტყვას: 50 კგ-ში ქუთაისელი ზურაბ თავაძე; 56-ში ასევე ქუთაისელი გიორგი ლომთაძე; 77-ში ზუგდიდელი ირაკლი ცანავა; 85-ში - ზუგდიდელი დავით გოგია; 94-ში ზუგდიდელი ილიკო ჯალაღონია, +94-ში აფხაზეთის სახელით მოსაპარეზე ვალერი ლოზიანიძე და თელაველი გიორგი დარბაზიანი.

აუცილებლად აღსანიშნავია მწვრთნელთა შედეგიანი მუშაობა: ზუგდიდში გოჩა ჩიქოვანი და ბეჟან ჭიჭინაძე წვრთნიან ბავშვებს; აჭარაში - ბესიკ ბასილა და თაზიმ თათაძე; ქუთაისში - მალხაზ ლომთაძე, ილია თვალთაძე და გია ცირეკიძე; აფხაზეთიდან ლტოლვილებს - ავთანდილ გახოკიძე, რომელიც ასევე ახალგაზრდული ნაკრების მთავარი და ეროვნული ნაკრების მეორე მწვრთნელია. ტრადიციულად ძლიერია თბილისური სკოლა, სადაც ნაყოფიერად მუშაობენ ზურაბ ანთაური და გურამ ფარულავა. მართალია ამჯერად თბილისის გუნდის საპრიზოს მიღმა დარჩა, მაგრამ ნიჭიერი ბავშვები აქაც ბლომად გვყავს და მომავალში ისინიც გამოიღებენ ხელს.

აქვე აღვნიშნავ, რომ ტურნირზე უფროსი ასაკის ორი ქალოსანიც დავუშვით: ქუთაისელები - ირაკლი ცირეკიძე და ვაჟა დანგაძე მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელიც 9-16 ივნისს პრაღაში გაიმართება. მათ ქალები მოსინჯეს და კარგი შედეგებიც აჩვენეს: თუმცა, ყველაზე დამაინტრიგებელი მაინც ოლიმპიური ჩემპიონის გიორგი ასანიძის გამოსვლა იყო. გიასაც სურდა საშეჯიბრო რიტმის შეგრძნება და შტანგას შეეჭიდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამდენი ხნის შემდეგ ასეთი შედეგის ჩვენება, მართლაც საოცარია - ატაცში 160 კგ. დაძლია, აკვრამში კი - 190. მართალია მცირე ტრავმაც მიიღო, მაგრამ იმედია, მალე გაუვლის და მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბევრად უკეთ იქნება მზად.

ზვიად შატირიძის მიხედვით
არჩიორაში
40 კგ. 1. შოთა მიშველაძე (ქუთაისი), 2. რამინ შამილიძე (აჭარა), 3. ბაჩანა ქუხილაძე (ზუგდიდი)
45 კგ. 1. ზვიად ფუტყარაძე (აჭარა), 2. რუსლან ტარიელაძე (აჭარა), 3. ლაშა კლდიაშვილი (წყალტუბო)

50 კგ. 1. ზურაბ თავაძე (ქუთაისი), 2. ტარიელ შერვაშიძე (აჭარა), 3. ზურაბ ბერიძე (საჩხერე)
56 კგ. 1. გიორგი ლომთაძე (ქუთაისი), 2. კახა ჩიბურდანიძე (აჭარა), 3. ლაშა კობალიანი (წყალტუბო)

62 კგ. 1. რომან სარქისიანი (თბილისი), 2. ლაშა ქაშუაძე (საჩხერე), 3. თემურ პერტაია (ზუგდიდი)
69 კგ. 1. ნიკა ნიკოლაური (თბილისი), 2. ლევან შანიძე (აჭარა), 3. ბუბუტი ჯიშკარიანი (წყალტუბო)

77 კგ. 1. ირაკლი ცანავა (ზუგდიდი), 2. კახა ბაღდავაძე (ქუთაისი), 3. ფრიდონ რატიანი (ქუთაისი)
85 კგ. 1. დავით გოგია (ზუგდიდი), 2. ჯაბა აბულაძე (აჭარა), 3. ლაშა ლილუაშვილი (წყალტუბო)

94 კგ. 1. ილიკო ჯალაღონია (ზუგდიდი), 2. ხაალ კვიციანი (ზუგდიდი), 3. ბადრი კახიძე (აჭარა)
+94 კგ. 1. ვალერი ლოზიანიძე (აფხაზეთი), 2. გიორგი დარბაზიანი (თელავი), 3. გოგა ფიფია (ქუთაისი)
გუნდური: 1. აჭარა (ჩაქვი) - 111 ქულა, 2. ქუთაისი - 105, 3. ზუგდიდი - 101

ბიულეტენი

19-20 მაისს, ბუქარესტში გაიმართება მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი, რომელიც ასევე სალიცენზიო სტატუსისა გახლავთ. ამასთან, სექტემბრის დასაწყისში, ბრაზილიაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატამდე ეს ამ რანგის ბოლო ტურნირია, რაც მის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის. ჩვენი ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარულმა უკვე დაასახელა რუმინეთში წასაყვანი შემადგენლობა: ნესტორ ხერგანი და ვახტანგ ხოსიტაშვილი (60) ზაზა კედელაშვილი (66), დავით ქვეციშვილი (73), გიორგი ბინდურაშვილი და საბა გავაშელიძე (81), ირაკლი ცირეკიძე და ზურაბ ზვიადური (90), ლომერ ჟორჯიანი და ლევან რაზმაძე (100), ადამ ოქრუაშვილი და ზვიად ხანჯალიაშვილი (+100).

როგორც ვხედავთ, მწვრთნელი ისევე იმ შემადგენლობას ეყრდნობა, რომელმაც ახლახან მოსკოვის სუპერთასზე იჭიდავა. მაშინდელისგან განსხვავებით, ახლანდელში მხოლოდ ორი ცვლილებაა - 66-ში ალექსანდრე იაკობაშვილის ნაცვლად ვეროპოს ორგზის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი იჭიდავებს, 81-ში კი გრიგოლ შინჯიკაშვილს საბა გავაშელიძე შეცვლის. და რაც მთავარია, მწვრთნელი არც ამჯერად ასვენებს ვეროპოს პირველობაზე ნაჭიდავებ ფალაგებს. შოთა ხაბარული არ უარყოფს, რომ გადაღლის, უფრო სწორად, ერთგვარი მოყრდენის საშუალება მართლაც არსებობს - მუდმივად გადაფრენები ერთი ქვეყნიდან მეორეში, ისევე სატურნირო

ბუქარესტის მსოფლიო თასი ბოლო სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატამდე

ორმოტირალში ყოფნა - რაგინდ ძლიერი მოტივაცია იყოს, ეს ყველაფერი მოქმედებს ნერვებზე, მაგრამ ხაბარული შეგნებულად მიდის ამაზე. მისი სურვილია, ბიჭებმა სალიცენზიო ქულების სასურველი მარაგი ადრევე დააგროვონ, რადგან ბოლოსკენ ლიცენზიებისთვის ბრძოლა გაძნელებდა და ყოველ ქულას ათმაგი ფასი დაედება.

სავარაუდოდ, ბუქარესტის ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატზე წასაყვან გუნდს საბოლოოდ გამოავლენს, თუ არა და, ბირთვი მაინც გამოიკვეთება. იმის შემდეგ ჩვენები ზაფხულში გერმანიაშიც გამოვლენ ერთ შეჯიბრებაში, რომელიც მსოფლიოსთვის მოსამზადებელი იქნება. იქ ის ფალაგები იჭიდავებენ, რომლებსაც უკვე განადგურებული ექნებათ ბრაზილიაში წასვლა, ოღონდ, შესაძლოა, მათი უმეტესობა მწვრთნელმა ზედა წონაში აჭიდაოს და წონა არ დააკლებინოს.

ირაკლი თაყაიძე

მადლობა

ირაკლი გელდიასვილის მემორიალზე

საორტის დეპარტამენტის სპორტულ დარბაზში მეკლდეურთა ტრადიციული ტურნირი, ირაკლი გელდიასვილის მემორიალი გაიმართა. ორგანიზატორების თქმით, წლებულს ისინი ისე ხელგაშლილები ვერ დახვდნენ მონაწილეებს (იგულისხმება საპრიზო ფონდი), როგორც ადრე, მაგრამ იმედი გამოთქვას, რომ მომავალში ვითარება გამოსწორდება. მიუხედავად ამისა მეკლდეურთა პირველ სტარტში მონაწილეობა 60-ზე მეტმა ვაჟმა და გოგონამ მიიღო. მონაწილეთა შორის იყვნენ გუნდები ყაზბეგიდან, ბათუმიდან, ლენტეხიდან, მესტიიდან და თბილისიდან.

სამწუხაროდ, მონაწილეობა ვერ მოახერხეს გორელმა სპორტმწიფეებმა. თბილისში მათი ჩამოსვლად მიზეზი ამ ცოტა ხნის წინათ კლუბ "ტონთოს" დახურვა გახდა. თუმცა, ქვეყნის მეკლდეურთის ეროვნული ფედერაციის მესვეურებმა იმედოვნებენ, რომ საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც მაისის ბოლოს, ჭიათურაში გაიმართება, ყველა რეგიონის გუნდი იასპარეზებს.

შეჯიბრება ორ დისციპლინაში, რთულ და სწრაფ ცოცვამში გაიმართა. ორდღიანი ასპარეზობის პირველ დღეს გამარჯვებულები რთულ ცოცვამში გამოვლინდნენ. ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი, როგორც მოსალოდნელი იყო საქართველოს ჩემპიონ ავთო ქურასაბედიანს ჰქონდა. მეორე შედეგი ასევე თბილისელმა გურამ ზუციშვილმა უჩვენა, ხოლო მესამე ადგილი ბათუმელმა კობა ფერაძემ და ლენტეხელმა გიორგი მუსხელიანმა გაიყვეს. გოგონათა შორის საუკეთესო შედეგი მესტიელმა

მარიანა იოსელიანმა აჩვენა, მეორე - თბილისელმა ნუცა ზუციშვილმა, ხოლო მესამე - თბილისელმა თამარ დიდუბელიძემ.

სისწრაფეზე ცოცვამში ნუცა ზუციშვილმა უკვე არავის დაეთმო პირველობა და სახეობასთან ერთად, ორი შეჯიბრების ჯამში, "გელდიასვილის მემორიალის" გამარჯვებული გახდა. მეორე დღეს, მართალია მხოლოდ მესამე იყო მარიანა იოსელიანი, მაგრამ მემორიალზე მეორე ადგილი დაიკავა. მესამე საპრიზო ადგილს ორი შეჯიბრების ჯამში, ხოლო მეორეს - სწრაფ ცოცვამში თბილისელი ნათია უთურგაშვილი დასაჯერდა.

ვაჟებში სწრაფ ცოცვამში საუკეთესო იყო ავთო ქურასაბედიანი. მეორეზე ყაზბეგელი ვანო კობაძე გავიდა, მესამეზე - გურამ ზუციშვილი იყო. ორი სახეობის ჯამში, ცხადია, ქურასაბედიანმა გაიმარჯვა, საპრიზო ადგილები გურამ ზუციშვილმა და კობა ფერაძემ გაიყვეს.

გამარჯვებულები და პრიზორები დიპლომებითა და ჯილდოებით დასაჩუქრდნენ.

ირაკლი გელდიასვილის მემორიალი სიმბოლურად, 1984 წელს, უმბაზე დალუპული მთამსვლელის შვილიშვილმა დახურა. მემორიალის მონაწილენი თბილისში ზუსტად ერთი წლის შემდეგ შეიკრიბებიან, მანამდე კი მეკლდეურებს საინტერესო სტარტები ელით ჭიათურასა (ქვეყნის პირველობა) და აჭარაში (მიხეილ ხერგანის მემორიალი). არ არის გამორიცხული, ბოლო ტურნირს მესტიამ უმასპინძლოს.

თამარ ჯიშკარიანი

ჟღერაჟი

საერთაშორისო ტურნირი შანსი ჯერ კიდევ არის

ბაქოში მიმდინარე ჰეიდარ ალიევის სახელობის ტურნირზე 7 ტური გათამაშდა. აზერბაიჯანში 19 ქართველი თამაშობს. მკითხველს ბოლო ინფორმაცია 4 ტურის დასრულების შემდეგ ჰქონდა. მაშინ ჩვენებურთაგან რამდენიმე მონაწილეთა შორის იყო, ახლა კი ლიდერებში მხოლოდ თორნიკე სანიკიძეა - 5.5 ქულით მეორე-მეათე ადგილებს იყოფს. პირველ ადგილზე შვეიცარიელი ვადიმ მილოვია 6 ქულით. 5.5-ქულიანებს ნახევარქულიანი ჩამორჩენით 13 მოჭადრაკე მისდევს, რომელთა შორის მხოლოდ ორი ქართველია - ბაჩანა მორჩიაშვილი და დავით მაღალაშვილი. თამაზ გელაშვილი, დავით შენგელია და კონსტანტინე შანავა თავის მეგობრებს რეიტინგით ბევრად აღემატებიან და ფავორიტება-

დაც ისინი ითვლებოდნენ, მაგრამ მათ მხოლოდ 4.5 ქულა აქვთ, ისევე როგორც დავით ლომსაძეს, ლუკა პაიჭაძეს, ივერი ჭილაძესა და კიდევ 8 მონაწილეს. ქართველ ქალბატონთაგან გამორჩეული შედეგი არავის აქვს - 4 ქულის დაგროვება მოახერხეს სალომე მელიამ, ბელა ხოტენაშვილმა, მაკა ფურცელაძემ და სოფიო გურამიშვილმა. ისენი, სხვებთან ერთად, 39-ე 67-ე ადგილებს იყოფენ. ძალიან ცუდად თამაშობს კიდევ ერთი ძლიერი ქართველი დიდოსტატი ლევან აროშიძე, რომელსაც სულ 3 ქულა აქვს. სათამაშო კიდევ ორი ტურია.

ზვიად შატირიძის მიხედვით

ზღაპრული

მსოფლიო ტური ბარბარე დაქლიანს

ბაქოში მიმდინარე დაწყებული მორიგი ეტაპის კვალიფიკაცია წარმატებით გადალახა ქართულმა დუეტმა გეორგიამ. ჩვენმა პლაზმურთაგან, რომლებიც კვალიფიკაციაში მესამე ნომრად იყვნენ განთესილები, პირველ შეხვედრაში სამ-

ხრეთაფრიკულ, აუგუსტიდესისა და ფლისბერხის დუეტს იოლად სძლიეს 2:0 (21:9, 21:15). მომდევნო მატჩში კი, რომელიც ძირითად ბადეში გამსვლელი იყო, გეორგიამ ნორვეგიელები, პოიდალენი და გორანსონი დაამარცხეს

2:1 (21:13, 15:21, 15:11). ძირითადი ბადის პირველ მატჩში ჩვენი დუეტის მეტოქე ისევე ნორვეგიელი, ამჯერად კემპერუდ-სკარლუნდის წყვილი იქნება.

ბესიკ ჯანაშვილი



კალათბურთი

გაიცანით. ძმები ბარბაქაძეები

რა საერთო აქვთ ბარბაქაძეებსა და ჯინოზილის?



დავით და გიორგი ბარბაქაძეები

ჯერ სათაყვარელი დასმულ კითხვას ვუპასუხოთ. "ავიამშენისა" და სტუს ფორვარდებთან, დავით და გიორგი ბარბაქაძეებთან ინტერვიუს ბოლო შეკითხვა მათ სპორტულ კერპებს ეხებოდა...

ძალიან მომწონს ვინს კარტერი. მაგრამ თუ ზოგადად სპორტულ კერპს ეხება საქმე, მაშინ დიეგო მარადონას დავასახელებ. ის №1 სპორტსმენია, - თქვა გიორგი ბარბაქაძემ.

მე პეუა სტოიაკოვიჩი მომწონს. იდეალური ტყორცია აქვს, - ეს დათოს სტყევბია, რომელიც გიორგიზე 9 წლით უფროსია - 1984 წელსაა დაბადებული.

როგორც ხედავთ, ჯინოზილის გვარი არც ერთმა არ ახსენა. მაშ რატომ მოხდა სათაურში არგენტინელი კალათბურთელი? მოკლედ გეტყვი: ძმებთან ინტერვიუ რომ დავასრულე, სათაურზე დაფიქრდი, "ველურებს" არ დავარქმევ, შეიძლება ენციკლოპედიაში, ვუთხარი გვერდში მყოფ ჩვენი ვაზის საკალათბურთო მიმომხილველ ზურაბ თალაკვაძეს, რომელმაც სიანტერესო რამ გაიხსენა: ინგლისური "უაილდ" ქართულად ველურს ნიშნავს. სწორედ ეს მეტსახელი აქვს სან ანტონიოელ მანუ ჯინოზილის. როგორც მიხვდით, მანუსა და ბარბაქაძეებს შორის საერთო მეტსახელი ყოფილა. სიანტერესოა საიდან წამოვიდა ასეთი "ფსევდონიმი"?

გუნდში ყველა "ველურას" მეძახის, მგონი არც მწვრთნელმა იცინა, სინამდვილეში რა მქვია. მაგრამ საიდან წამოვიდა ეს მეტსახელი, ჩემზე უკეთ დათო გაიმბობთ, - სიტყვა გადასცა ძმას გიორგიმ.

პატარაობაში ერთ-ერთი ვარჯიშის ბურთი ეფექტურად ჩავტენე და რომ ჩამოვვარდი, ფარიც გაიბზარა. სწორედ მაშინ დამიძახეს თანაგუნდელებმა - ველური ხარო... თან ჭამაც ძალიან მიყვარს. ეს სახელი არათუ საქართველოში, აზერბაიჯანშიც არ მომწონებია. "გალასთან" ერთად ლიტვაში ერთ-ერთ სა-

საქართველო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია სამომავლეს უცხადებს ვეტერან კალათბურთელს, ვალერი ლომაძეს, დედის გარდაცვალების გამო.

ჭიდაობა და ფეხბურთი

გამოგიტყდებით, აღარ მახსოვს, რა კითხვა დაუსვი, მაგრამ დათომ ასე მიპასუხა.

- კალათბურთის თამაში გვიან დავინწყე, მე-11 კლასს რომ ვამთავრებდი, მაშინ. სწორედ ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო სათამაშო პრაქტიკა. სსუ-ს მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია ყველანაირად მეხმარებოდა და სოხუმელთა შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაში თამაშსაც მივწვდი.

უმალ განაღდა კითხვა:

- მე-11 კლასამდე რას აკეთებდი?

- მანამდე ჭიდაობაზე დავდიოდი. ბიძაჩემი, მათე სვანიძე მოჭიდავე იყო და სპორტის ამ სახეობაზე მისი ხათრით შევედი. ჯანი არ მაკლდა, მაგრამ ჩემი ძმისგან განსხვავებით, სერიოზული წარმატებებისთვის არ მიმიღწევია.

დათოს სიტყვები "ჩემი ძმისგან განსხვავებით", გვაფიქრებინებს, რომ ჭიდაობაში გიორგის ჰქონდა სერიოზული მიღწევები. მაგრამ ეს ასე არაა. დათო განაგრძობს.

- ჭიდაობას რომ შევეფიქსი, მათე სვანიძის რანგში ჩემს ძმას ფეხბურთზე დავყვებოდი. იგი მისი ნათლის, თამაზ კოსტავას ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა საფეხბურთო კლუბ "დინამოში". ერთ-ერთი ვარჯიშისას ბესიკ ლიპარტიელის ნათესავი გამომელაპარაკა - მაღალი ხარ და კალათბურთელობა ხომ არ გინდა... თავიდან სერგო იშხნელის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდი, შემდეგ ნიკო ჩერქეზიშვილთან გადავედი და რამდენიმე წელიწადი ვვარჯიშე. მას ჩემს კალათბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

- როგორც ბავშვების უმეტესობა, თავიდან მეც ფეხბურთით ვიყავი გატაცებული. ოღონდ მოედნის მოთამაშობას მეკარეობა ვარჩიე. სხვათა შორის, საქართველოს ერთ-ერთი ჩემპიონატზე საუკეთესო მეკარის ჯილდოც მივიღე, ისხნელს გიორგი.

- კალათბურთზე გადასულს ფეხბურთელები როგორ შეგეღობენ?

- იოლად, რადგან გუნდში გიორგი ბარბაქაძე მაინც დარჩა - იგი თავდასხმელი იყო და "პელეს" ეძახდნენ.

აზერბაიჯანი: წარმოსახვითი საძარბოვლო

კალათბურთში ჩახედულ მკითხველს მოეხსენება, რომ დათო ბარბაქაძე აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების წევრია, ხოლო გიორგი - საქართველოს კადეტთა ნაკრებისა. საინტერესოა, ძმის უცხოეთში წასვლას, გიორგი როგორ შეხვდა.

- გული ძალიან დამწყდა, რადგან ვერ წარმოვიდგინა ჩემი ძმა აზერბაიჯანის ნაკრების მაისურით. პატარაობიდან ვიცნობდი ნაკრებში დათოს გვერდით თამაშზე.


- ისევე, როგორც საფეხბურთო "დინამოში", ჩემი აზერბაიჯანში გადასვლის შემდეგ საქართველოს ნაკრებში ერთი ბარბაქაძე მაინც დარჩა - გიორგი ხომ კადეტებში თამაშობს. სიმართლე რომ ვთქვა, თავიდან არც მე მსურდა მეზობელი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ასპარეზობა, მაგრამ რადგან საქართველოდან შანსი არ მომეცა, საჭიროდ ჩავთვალე, რიმას კურტიანიტისის წინადადებას დავთანხმებოდი. როცა აზერბაიჯანის მაისურით სათამაშოდ გავდივარ, წარმოდგენილი მაქვს, რომ საქართველოს ნაკრების ფორმა მაქვია და ძალას არ ვზოგავ. ისე, თუ ვინმეს დავჭირდები, მზად ვარ, აზერთა ფორმა ვავიხადო და ქართული ჩავიცვა, თუკი ამის საშუალება ფიზიკურად მომიცემს.

გიორგი ბარბაქაძეს ამ ზაფხულს სერიოზული მისია დაეკისრება - საქართველოს კადეტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს და გუნდის მთავარი მიზანი, ელიტაში ადგილის შენარჩუნება იქნება.

- შარშანდელი შემადგენლობიდან ნაკრებში 4 კაციცა დავარჩიე - მე, თავართქილაძე, ვასილაშვილი და მეტრეველი. მწვრთნელს, ფაქტობრივად, ახალი გუნდის შენება მოუწევს. თუმცა ვიმედოვნებ, რომ ისეთივე კარგი ნაკრები გამოვა, როგორც შარშან იყო.

ვაჟა სიმონიშვილი

ჭიდაობა



მალხაზ ჯორბენაძე, ნუკრი ჯვალაძე, მალხაზ ქურდიანი, მიხეილ ზარქუა

ხუთი მედალი ქამრულში

ბარსელი ქართველმა მოჭიდავეებმა 17 მედალი მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატებზე. ექვსი - ოქრო, ოთხი - ვერცხლი და შვიდი - ბრინჯაო. ეს ჭიდაობის ოთხ სახეობაზე მოდის. ძიუდო, სამბო, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული. იენისში კი ევროპის ჩემპიონატზე უნდა ისპარეზონ ქართველმა სუმოსიტებმა.

ახლახან, მაისში, 17 ევროპულ მედალს ქართველმა ფალანგებმა კიდევ 5 შემატეს...

სტამბოლში გამართულ ქამრიანი ჭიდაობის ევროპის მეორე ჩემპიონატში კაცთა და ქალთა 20 ქვეყნის მოჭიდავეები ასპარეზობდნენ. საერთაშორისო ასოციაციის თავკაცები სტამბოლში უფრო მეტს - 27 ქვეყნის ნაკრებ გუნდს ელოდნენ. რაც შეეხება მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონატს, რომელიც ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში წელულს ოქტომბრის პირველ ნახევარში გაიმართება, სავარაუდოდ იქ 60-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები ასპარეზობენ.

ქამრებით ჭიდაობა სხვადასხვა ქვეყნის ხალხური ჭიდაობების ერთგვარი სინთეზია, რომელიც არცერთ ჭიდაობას არ ჰგავს, მაგრამ ემოციურია და მარტივად აღსაქმელი.

სტამბოლში ჩვენი ვაჟთა გუნდი თავისუფალი სტილის მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული და ექვსეუ წონით კატეგორიაში (66, 73, 81, 90, 100 და +100) მონაწილეობდა. ქალთა სამი წონითი კატეგორიიდან (58, 66 და +66) მხოლოდ 66 კილოგრამში არ გვყავდა მონაწილე.

ფინალში ისპარეზა მიხეილ ზარქუამ (73 კგ) და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედალები მოიპოვეს: მალხაზ ქურდიანმა (66 კგ), ნუკრი ჯვალაძემ (81 კგ) და მალხაზ ჯორბენაძემ (90 კგ).

ქალთა შორის 58 კილოგრამში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ძიუდოსტმა თამარ ჯინჭარაძემ. ოფიციალურ ჩემპიონატებში ვერ არცერთ ქართველ მოჭიდავე ქალს რამე სინჯის მედალი არ მოუპოვებია. ასე რომ, თამარის მედალი პირველია...

მიხეილ ზარქუას გარდა, ჩვენი მოჭიდავეები პირველად სცდიდნენ ძალას ქამრით ჭიდაობაში. მიხეილმა ხომ 2005 წელს, კახანში მსოფლიოს ჩემპიონატზე 66 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

თარიღი

მოთარე მორძაბი. 10.05.1923, ქუთაისი - 12.03.2005, თბილისი. კალათბურთი (190 სმ). თამაშობდა ქუთაისისა (1943-46) და თბილისის "დინამოში" (1947-58), იყო სსრკ ნაკრების წევრი (1947-55) და კაპიტანი (1953-55). 1952 წლის პელსინკის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, ევროპის სამგზის ჩემპიონი (1947, 51, 53) და მესამე პრიზიორი (1955), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1950, 53, 54), მეორე (1947) და ორგზის მესამე (1948, 52) პრიზიორი, სსრკ თანხის ორგზის მფლობელი (1949, 50), სსრკ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე (1952). იყო სსრკ ახალგაზრდული ნაკრების (195862), თბილისის "დინამოს" (1962-67), კამპოჯის ქალთა და კაცთა ეროვნული გუნდების (1968-70) მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით თბილისის "დინამომ" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა (1962). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ლირსეებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.

მურმან შარბია. 10.05.1945, თბილისი. კალათბურთი, მსაჯი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. იყო 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის, ევროპის ქალთა (1979) და კაცთა ორი (1981, 83) ჩემპიონატის, "კეთილი ნების თამაშების" (1986) და ევროპის ჩემპიონატის მატჩების არბიტრი. იმსახურა სსრკ ნაკრების პირველი მწვრთნელი პროფესიონალებთან, "ატლანტა პოუქსის" კალათბურთელთა (1988). თერთმეტჯერ დაასახელეს სსრკ 10 საუკეთესო მსაჯის შორის (1980-90).

იოსებ პრიხალი. 10.05.1931, ცხინვალი - 02.10.1988, უგრა. საქართველო კომპოზიტორი. საერთაშორისო დიპლოსტატი (1984). სსრკ ჩემპიონი (1984), ორგზის მეორე (1971, 83) და სამგზის მესამე (1976, 81, 85) პრიზიორი. საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში მიღებული აქვს 300-მდე პრიზი, აქედან 90 - პირველი პრიზი.



საქართველოს პაროპედიკული ოლიმპიური კომიტეტი წარმოადგენს

პაროპედიკული ოლიმპიური კომიტეტი

რეპორტი

ლეგიონერები

დარჩა ოთხი გუნდი

საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ფედერალურ დივიზიონში მყოფ ჯგუფური ეტაპი დასრულდა და მეორე დივიზიონში გადასასვლელად მებრძოლთა ვინაობა გამოვლინდა. მათ შორის ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდია: "ობენა", "მასი", "ექსი" და "პერიგო". მათგან პირდაპირ მეოთხედინაში მხოლოდ "პერიგო" მოხვდა. დანარჩენებს კი მომავალ უქმეებზე მერვედინალი უწყევთ.

ბ ჯგუფში ელიზბარ ყუფარაძის "ობენამ", მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად "ორიაკთან" დიდი ანგარიშით წააგო 10:74, მეორე ადგილი დაიკავა, პლეიოფში გააღწია და მერვედინაში დავით გასვიანის "ექსს" დაუპირისპირდება.

"ექსი" C ჯგუფის გამარჯვებულია. გასვიანის გუნდმა ბოლო შეხვედრაში სტუმრად აუტსაიდერი "ლა სეინი" დაამარცხა 19:3. გასვიანი თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო. "ექსსა" და "ობენას" შორის გამარჯვებული მეოთხედინაში "ნიმს" დაუპირისპირდება. ამავე ჯგუფში კონსტანტინე ჯინჭარაძის "ბურგ ან ბრესამ" შინ "ოლორონი" დაამარცხა 38:8, თუმცა მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

D ჯგუფში პირველი ადგილი გიორგი ჩხაიძის, დავით დადუნაშვილის და ვიქტორ დიდუბულიძის "მასიმ" დაიკავა, თუმცა ბოლო მატჩი სტუმრად "ბედარიდესთან" დამარცხდა 8:17. ერთადერთი ლელო პარიზელთა მხრიდან დადუნაშვილმა 67-ე წუთზე გაიტანა, რომელიც თამაშში 31-ე წუთიდან ჩაერთო, ჩხაიძეს შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია, დიდუბულიძე

ბულიძე მოედანზე 44-ე წუთზე გამოჩნდა. სტუმრად "ლანამეზანთან" ფრეს დასჯერდა ირაკლი აბუსერიძის "ორლეანი" 23:23, არადა გამარჯვების შემთხვევაში გზას პლეიოფისკენ გაიკავებდა. აბუსერიძე 79-ე წუთზე შეცვალეს. "მასი" მერვედინაში სწორედ "ლანამეზანთან" გაარკვევს ურთიერთობას, გამარჯვებული კი ვანო ნადირაძისა და თედო ზიზიბაძის "პერიგოს" დაუპირისპირდება.

"პერიგომ" E ჯგუფში გაიმარჯვა. ბოლო მატჩში ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად დაამარცხა "რუანი" 23:19. ორივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო. ზიზიბაძე 34-წუთზე შეცვალეს. ნადირაძემ კი მოედანზე 61 წუთი დაყო. ამ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა ზურაბ მჭედლიძეისა და ალექსანდრე მარგველაშვილის "დომინამ". პარიზელებმა ბოლო მატჩში "ტიროსი" დაამარცხეს 20:18. მარგველაშვილი 30-ე წუთზე შეცვალეს, მჭედლიძემ კი თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ფედერალ 2-ში მეთექვსმეტედინა-ლურმა შეხვედრებმა ქართველ მორაგბეთა გუნდების რაოდენობა გაანახევრა. ექვსი "ქართული" გუნდიდან მერვედინაში სამმა - "ბასტიამ", "ლილამ" და "სერეი პონტუაზამ" გააღწია.

"პონტუაზამ", სადაც დიმიტრი ხოჭოლავა თამაშობს, "სურსენეს" სძლია და მერვედინაში დაუპირისპირდება დავით ბოლდაშვილის "ლილს", რომელმაც მინიმალური ანგარიშით დაამარცხა "მასონი" 20:19. დავით ხოჭოლაძის "ბასტიამ" დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა "სორგო" 15:11 და ახლა მისი მეტოქე რატი ურუშაძისა და დიმიტრი პავლოვის "ნიკას" მძლეველი "ვილერბანი" იქნება. "ნიკამ" შეხვედრა 16:22 დათმო. გათამაშებას გამოეთიშა ბესიკ უდესიანის "ვილფრანსი", რომელიც "ლონსთან" დამარცხდა 3:17. "რიბერაკთან" წააგო ალექსანდრე მჭედლიძეისა და რეზო ბელქანიას "ფიუკამა" 6:17. ამავე გუნდში ახლახან გადავიდა აქამდე ანდორაში მოთამაშე ოთარ ბარკალია.

ბესიკ ჯანაშვილი



ლანამეზანი-ორლეანი. ბურთით ირაკლი აბუსერიძე

რეპორტი

ფლორიდაში ანა, ანთალიაში მანანა

17 წლის ანა ტატიშვილი (335) ფლორიდას კურორტ ინდიან პარკში (50 ათასი დოლარი) ძირითად ბაღში გავიდა. ამისთვის მას საკვალიფიკაციო ტურნირში სამი მეტოქის ჩამოშორება მოუწია. ფინალურ ნრეში ანამ კანადელი ეკატერინა მულავევა (347) დაამარცხა - 7:5, 6:4. ძირითად ბაღში ტატიშვილის მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი ქრისტიანა ბრანდი (171) იქნება. 30 წლის პუერტორიკელი ერთ დროს (2000 წელს) მსოფლიოს 27-ე ჩოგანი იყო. წყევლთა თანრიგში ანა ტატიშვილი და სოფიო მელიქიძევილი მე-2 ნომრად განთესილ აფრიკელ ჩანელ სხეპერსს (370) და ამერიკელ სტორი ტვიდის (394) შეხვდნენ, 6:2, 7:5 დაამარცხეს და მეოთხედინაში გავიდნენ.

ანთალიის ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) ხუთი ქართველიდან ძირითად ბაღში სამი გავიდა, ამთგან პირველი წრე მხოლოდ ერთმა გადალახა - 17 წლის მანანა შაფაქიძემ (814).

მანანას მეტოქე ძირითად ბაღში პრიტანელი ანა სმიტი (481) იყო, შაფაქიძემ სამ სეტში იმარჯვა - 6:4, 4:6, 6:3. სოფიო შაფაია პირველ ნრეში მე-3 ნომრად განთესილ სერბ ვილსლავა ლუკოვიჩი (271) დაამარცხა - 3:6, 3:6. სერბ ჩოგბურთელთან წააგო თინათინ ყაველაშვილმა - ანა ვესელინოვიჩთან (441) - 4:6, 3:6. 18 წლის შაფაია მსოფლიოს 694-ე ჩოგანია, 20 წლის ყაველაშვილი კი ურტიტნა-გოა. მერვედინაში შაფაქიძის მეტოქე შაფაიაშვილს დამარცხებელი ლუკოვიჩი.

ვათა პროფესიულ ასპარეზზე კიდევ ერთი ჩვენთვის უცნობი ქართველი გამოჩნდა, ფლორიდაში 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბაღში 22 წლის ზურაბ ფანია ვინილი. მან პირველ ნრეში ამერიკელ სკოტ შარესს მოუგო - 0:6, 7:5, 6:3, მეორეში კი ასევე მასპინძელ პოლ გუდთან დაამარცხა - 6:4, 3:6, 6:7.


ნიკოლოზ ნაჭარიძე

მსუბჰირული ტანვარჯიში

ინტარკიუ ელისო გადოშვილთან

ვეფხადაბით სასწაულისთვის

ახლახან ნამყვანმა ქართველმა ტანვარჯიშებმა ზედიზედ სამ დიდ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზეს და, ორწლიანი ფაქტობრივი უქმობის კვალობაზე, საკმაოდ კარგად შედეგებმა მოგვცა იმედი, რომ შემოდგომით, სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიური თამაშების საფურის გარეშე არ დავრჩებით. განვიხილო ტურნირებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ელისო ბედოშვილი.



ქეთ ხატიაშვილი ბურგასში მეთავე ადგილი დაიკავა

- თანდაპირველად, ესპანეთის ქალაქ მარბელის გრანპრიზე ვიყავით. იქ ძირითად ტურნირზე მხოლოდ ერთი ტანვარჯიშის გამოყვანის უფლება გვქონდა, სადაც ჩვენი პირველი ნომერი ქეთი ხატიაშვილი დაეწვევით. მან უძლიერეს მეტოქეებთან ჭიდილში, საკმაოდ კარგად, სტაბილურად იასპარეზა და მეთოთხმეტე ადგილი დაიკავა, რაც ამ ეტაპზე, ურიგო შედეგი არაა.

გრანპრის პარალელურად, მიმდინარეობდა "ანდალუსიის თასის" გათამაშება, სადაც თათია დონაძე გამოდიოდა. იგი გურუბით ვარჯიშში მესამე იყო, მაგრამ სხვა საგნებში მცირე ხარვეზები ჰქონდა და მრავალჭიდის ჯამში მეექვსე ადგილზე გავიდა.

ესპანური გრანპრიდან მეორე დღესვე, პირდაპირ პორტუგალიის ქალაქ პორტიმარში გადავიცვლეთ, სადაც მსოფლიო თასის ეტაპი ჩატარდა. ეს შეჯიბრება უფრო მაღალი დონის იყო - 44 ქვეყნის 74 ტანვარჯიშე გამოვიდა. ფაქტობრივად, პორტიმარში ის შემადგენლობა ასპარეზობდა, რომელიც შემოდგომით, პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვა.

პორტიმარში ჩვენი ტანვარჯიშეებიდან ყველაზე უკეთ გამოვიდა თათია დონაძე. მოხედავად იმისა, რომ იგი C ჯგუფში ვაშნესეს და არცთუ სახარბიელო პოზიციაში ვქონდა მაღალი ადგილის დასაკავებლად, იმდენი შეძლო, რომ მსაჯებს დანაგვრის შანსი არ დაუტოვა და მეორე ადგილი დაიკავა. არადა, პირველი დღის შემდეგ მეჩვიდმეტე პოზიციაზე იყო, მაგრამ რაკია ბაფთით ვარჯიშში შედარებით უჭირს ხოლმე, საბოლოოდ, სამი ადგილით უკან დაიხია. თუმცა რა თქმა უნდა, ესეც კარგი შედეგია. მსოფლიო ჩემპიონატზეც თუ მოახერხებს ოცეულში შესვლას, პეკინის ოლიმპიადის საფურს გაინაღებს.

- მარბელისაგან განსხვავებით, პორტიმარში გაცილებით უარესი შედეგი, 31-ე ადგილი აჩვენა ხატიაშვილმა. რა იყო ამის მიზეზი?

- ქეთიმ გრანპრის უდიდესი ენერჯია შეაღია და პორტიმარში ცოტა გადაღლილი მეჩვენა. პორტუგალიაში ისევე რომ გამოსულიყო, როგორც ესპანეთში, ათეულში მოხვედრაც კი შეეძლო, მაგრამ რატომ ვერ გააკეთა ეს, თავად ვერ აუხსნია. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ყველა შეჯიბრებაზე თანაბარი სიძლიერით გამოსვლა რთულია. მით უმეტეს, რომ ცნობილი მიზეზების გამო, ორი წელი გავიცვდა და ახლა, ფაქტობრივად, ნულიდან ვინყებთ ყველაფერს. ამ ორ წელიწადში ასეთ შეჯიბრებებზე სისტემატურად რომ გამოვსულიყავით, ახლა საუკეთესო ათეულში თუ არა, თხოთმეტეულში მოხვედრასა და პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიაზე არანაირი პრობლემა არ გვექნებოდა.

ამჟამად, მსოფლიო ტანვარჯიშში ლიდერობენ რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა, აზერბაიჯანი და ბულგარეთი. ამ ქვეყნების შემდეგ, ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ბრძოლა. თუმცა თუ ხელი არ შეგვიშლის, მალე მოვა ის დროც, როცა ლიდერებსაც ტოლ-სწორად შევეპყრებით.

- ელენე გავარდაშვილზე რას იტყვი?

- პორტიმარში იგი 56-ე იყო, მაგრამ ერთი საგანი რომ არ ჩაეგდო, გაცილებით ნინ უნდა ყოფილიყო. ელენეს ნამდვილად აქვს დიდი პოტენციალი, შრომისმოყვარეცაა, მაგრამ ხატიაშვილისა და დონაძისაგან განსხვავებით, ძალიან აკლია საერთაშორისო გამოცდილება. ჩვენ ძირითად აქცენტს ქეთისა და თათიაზე ვაკეთებთ, რის გამოც ელენე ცოტა გვეჩვენება.

- ბოლოს ბურგასის გრანპრიზე იყავით...

- ბულგარული გრანპრი ტრადიციულად, ძვირად ტურნირია. აქ გამოდიოდა 15 ქვეყნის 22 ტანვარჯიში. საქართველოს წარმომადგენელ ხატიაშვილი, რომელმაც ბურგასში კიდევ ერთხელ გაიმარჯვა და მეთავე ადგილი დაიკავა. ფაქტობრივად, ქეთი ელიტის შემდეგ საუკეთესო იყო. თუმცა, რგოლში რომ შეცდომა არ დაეშვა, იქ დაახლოებით, 15.5 ქულას აიღებდა და უკეთეს ადგილს დაიკავებდა. ცხადია, ამ ეტაპზე ესეც მიღწევაა, მით უფრო რომ ქეთიმ გრანპრის რეიტინგში ჩამოვლელი ქულები მოიპოვა. სახტუნაოთი ვარჯიშში ის რეიტინგში მე-16 ადგილზეა, მეჩვიდმეტე - გურუბით ვარჯიშში. გარანშებთ, ეს მაქსიმუმი არაა, მას გაცილებით მეტი შეუძლია და ამიტომაცაა საჭირო, როგორც ქვეყნის ჩემპიონმა გრან პრის არცერთი ტურნირი არ გამოტოვოს, რათა რაც შეიძლება მეტი ქულები დააგროვოს და წლის ბოლოს ინსტრუქტი გასამართ გრან პრის ფინალში მოხვედეს.

- მოლიანობაში, რა პერსპექტივა დაგანახათ ამ სამმა ტურნირმა?

- კიდევ ერთხელ დაგანახა გოგონების დიდი პოტენციალი და გავიღვივა იმედი, რომ ორწლიანი პაუზის მიუხედავად, მინც შეგვიძლია წარმატებების მიღწევა. ახლო წარსულში, ჩვენი ოპონენტები გვიკითხებდნენ, რომ ხატიაშვილი და დონაძე უკვე "ასაკოვანი და ჩამოსაწერი" სპორტსმენები იყვნენ, მათთვის თავი უნდა დაგვეზებინა და უმცროსებზე უნდა გავემხივებინა ყურადღება. უმცროსებს, რა თქმა უნდა, ყურადღებას არ

გაკლებთ, მაგრამ ხატიაშვილი და დონაძე 18-19 წლისები არიან, სპორტული პიკის ხანა ჯერ წინ აქვთ და კიდევ ათიოდე წელი შეუძლიათ მაღალ დონეზე ასპარეზობა. ჩვენ კი არა, აგერ, ესპანეთს, კანადას, არგენტინასა და იტალიას შეექმნათ საკადრო პრობლემები, რის გამოც, ახლა გაზრებზე დროებით უარი თქვენ და დააბრუნეს 28 წლის სპორტსმენები. ესპანეთმა ალმუდენა სიდი დაიყოლია დაბრუნებაზე, არგენტინამ - ანაპი სოსა, იტალიელებმა კი ლაურა პაკილის უხმეს. თვით რუსეთშიც კი, როდესაც შეაჭყო, რომ გუნდის ლიდერს პრობლემები შეექმნა, ალინა კაბაევა დააბრუნა.

უცხოელ სპეციალისტებზე აღიარებენ, რომ ჩვენს გოგონებს პერსპექტივა აქვთ. რუსეთის ნაკრების მწვრთნელი ირინა ვინერი გაოცებული გვეკითხებოდა, თუ ასეთი კარგი გოგონები გყავდათ, ეს ორი წელი სად იყავითო. საერთაშორისო ფედერაციის გერმანელი ფოტოგრაფი კი, რომელსაც ათეულობით ვარსკვლავი უნახავს და გადაუღია, ჩვენი გოგონებით ისე მოიხიბლა, რომ სულ უკან დაგვედგა ფოტოაპარატი და ტრიბუნებზეც კი არ გვეშორებოდა.

წინ გვაქვს ევროპის ჩემპიონატებიც, სადაც მაქსიმალურად კარგად გამოვსვლას ვაპირებთ, რათა მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებისთვის განაცხადი გავაკეთოთ. ევროპის ჩემპიონატზე ვაპირებთ ოფიციურად გუნდით ჯგუფურ ვარჯიშში გამოსვლასაც, რაც ასეთი დონის შეჯიბრებებზე, კარგა ხანია არ გვექონია.

- მსოფლიო ჩემპიონატზე პეკინის ლიცენზიების მოპოვება რამდენად რეალურია?

- ორწლიანმა უქმობამ ბევრი დაგვაკარგვინა. გავისწრეს ისეთმა ქვეყნებმა, აქამდე რომ სათვალავში არ ვავადებდით. მსოფლიო ჩემპიონატზე, ფაქტობრივად, ყველა ადგილი განანიღებულა და სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენგან ლიცენზიის მოპოვება მცირე სასწაული იქნება. თუმცა შეუძლებელი არაფერია და ჩვენც ამ სასწაულისთვის ვემზადებით.

კობა ხატისაშვილი



კურტ ტომასმა დანკანსა და მის თანაგუნდელებს სისხლი გაუშრო

NBA. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

ევრიკა: ბოვასი საჭირო კასია

“ფინიქსის” მთავარი მწვრთნელი მაიკ დენტონი ჯერ კიდევ სერიის დაწყებამდე ამბობდა, ტიმ დანკანს თუ ვინმე გააჩერებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ, ბებერი კურტ ტომასი იქნება. დენტონიმ იქვე დასძინა, ტიმი შაკილ ონილის დარად, მინიმუმ 20 ქულასა და 10 მოხსნას მაინც გააკეთებს და ჩვენი მიზანი ოდენ ის იქნება, ამ მთა-კაცმა 30 და მეტი ქულით არ წავუვლევოს.

კურტი მეორე მატჩში სასტარტოში იყო, ჯეიმს ჯოუნსი რეზერვში აღმოჩნდა და სწორედ ამის ხარჯზე მოახერხეს მასპინძლებმა მეორე და მეოთხე მეთხედებში ორი გადამწყვეტი მონაკვეთის მოგება.

ტომასი შონ მერიონით სწრაფი და მოქნილი ნამდვილად არ არის, მაგრამ უდიდესი გამოცდილებისა და სამაგალითო შრომისმოყვარეობის ხარჯზე, იგი ძალიან ბევრ ასპექტში მერიონსაც სჯობნის და ამავე სტატუსს იმსახურებს.

სერიის პირველმა მატჩმა ერთხელაც გაუსვა ხაზი იმას, რომ ამარჯვებულს თამაში (მით უმეტეს, დანკანის ნინაღმდეგ) მაგრად უჭირს. სტატუსმა იერმა ტიმის დევნას იმხელა ენერჯია დაახარჯა, რომ თავდასხმაში არაქათგაცილი ბარბაცებდა, შედეგად კი 19-დან მხოლოდ 6 ტყორცნა გამოიყენა.

დენტონიმ დანკანს თავისი ნილი ქულა-მოხსნის გაკეთებაში ხელი ვერ შეუშალა, მაგრამ ტომასისგან შეწუხებულმა სუპერგარსკვლავმა, სულ დაივიწყა პარტიკორები და ყოველი შეტევის თავად დასრულებას ცდილობდა, რის გამოც ტიმი პარკერი, მანუ ჯინობილი და მაიკლ ფინლი ჩრდილში მოექცნენ.

საბოლოოდ, დანკანმა თამაშიდან 20-დან 12 და საჯარიმოს ხაზიდან 7-დან 5 სროლა კი გამოიყენა, მაგრამ “სპურსმა” გუნდური სულსკვეთება დაკარგა, რაც “სან ანტონიოსთვის” წარმატების უპირველესი წინაპირობაა.

უხეტულიანობით მხოლოდ ბრიუს ბოუენი გამოირჩა, რომელმაც 6-დან 3 სამქულიანი (ტრადიციულად, მარჯვენა კუთხიდან) გამოიყენა, ჯინობილი კი ზედიზედ მეორე კომპარტი მატჩი ჩაატარა.

თუ პირველ დაპირისპირებაში არ გენტილდება ვარსკვლავმა 9-დან ორად-ორი სროლა შეასრულა ზუსტად, ამჯერად მანუმ მცირე პროგრესი განიცადა და სროლების იდენტური რაოდენობიდან 3 გამოიყენა, თუმცა ორივე სამქულიანი გააფუჭა, ორჯერ ბურთი დაკარგა და რაჯა ბელთან ჯახი პირნინდად დათმო.

ვერცხლისწყალით სწრაფი ლეანდრო ბარბოსა ამჯერადაც აქტიურობდა და ბებერი ფინლის როგორც სურდა, ისე უვლიდა გვერდს.

ცვირგახსლებილი და აღნიშნულ მატჩში სპეციალური ბანდაჟით მოთამაშე სტივ ნეშმა კი, “სპურსთან” კარიერულ დაპირისპირებებში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და 16 შედეგიანი გადაცემა მოიპოვა.

“დღეს გუნდური თამაში არ გამოვივიდა. ტიმი შეუდარებელი იყო, მაგრამ “ფინიქსის” დასამარცხებლად ერ-

თი კაცის დომინირება საკმარისი არ არის”, - ამბობდა ნამატჩევე გამართულ პრესკონფერენციაზე “სპურსის” ვეტერანი რობერტ ორი, რომელმაც 17 ნუთში 2 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება გააკეთა. “ფინიქსმა” პირველი მატჩიდან სწორი დასკვნები გამოიტანა და სერიის მეორე შეხვედრაში ერთი სამიანიც არ უშვრია.

ამ სერიაში ყველაფერი წინ არის, მომდევნო ორი მატჩი კი სან ანტონიოში გაიმართება.

ლებრონ ჯეიმსი მატჩიდან მატჩამდე უმატებს და “ნიუ ჯერსის” მეორედ დამარცხებით, მისმა “კავალიერსმა” აღმოსავლეთის ფინალში გასვლის შესანიშნავი შანსი მიიღო. ლებრონი ამჯერადაც ფენომენალური იყო და, მართალია, ერთადერთი მოხსნა გააკეთა, თუმცა, 12 შედეგიანი გადაცემით კარიერის საფულისო რეკორდამდე ერთადერთი ზუსტი პასი დააკლდა და ქულეებიც ბლომად დააგროვა.

ლებრონმა დიდი შესვენების მერე 25 ქულა აიღო, საშა პავლოვიჩმა 17 ქულით ზედიზედ საფულისო პირადი რეკორდი დაამყარა და მაიკ ბრაუნის გუნდიც სერიაში სოლიდური პანდიკავით გაიჭრა წინ.

პირველი მატჩის დარად, “ნიუ ჯერსიმ” ამჯერადაც პირნინდად დათმო მოხსნებზე ბრძოლა და ამ კომპონენტში 32:49 დამარცხდა. სტუმრებმა თამაშიდან მასპინძლებზე 20 სროლით ნაკლები შეასრულეს.

“ლებრონი მხეცია, მაგრამ მის გარდა მეტოქეს იმდენი ძლიერი მოთამაშე ჰყავს, რომ სერიის მოსაგებად მაქსიმუმის გაღება მოგვიწევს. მნიშვნელოვანი იქნება ისიც, თუ როგორ ჩავატარებთ მესამე მატჩის პირველ ნახევარს. ვინსმა მეტი უნდა იაქტიუროს”, - ასე ავახსებს სერიის პირველ ორ მატჩს “ნიუ ჯერსის” მთავარი მწვრთნელი ლოურენს ფრენკი, ჯეისონ კიდმა კი სოლიდურ სტატისტიკასთან ერთად 8 შეცდომაც დაუშვა.

ზურაბ თალაკვაძე

აღმოსავლეთი	
ქლივლენი (2)-6. ჰაუსი (6) 102:92	
24:28, 24:17, 26:28, 28:19	
კლივლენი: ლ. ჯეიმსი (36 ქ. 12 პ. 3 რ.), პავლოვიჩი (17 ქ. 4 მ. 2 რ.), ილგაუსკასი (13 ქ. 9 მ.), პოუზი (12 ქ. 7 მ. 3 რ.), გუდენი (10 ქ. 14 მ.), ვარეუო (6 ქ. 9 მ.)	
ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (26 ქ. 7 პ. 6 მ. 2 რ.), რ. ჯეფერსონი (22 ქ. 8 მ. 2 რ.), კიდი (17 ქ. 10 მ. 8 მ.), მური (15 ქ. 3 მ.)	
სერია 20	
დასავლეთი	
ფინიქსი (2)-ს. ანაონიო (3) 101:81	
19:25, 30:17, 22:22, 30:17	
ფინიქსი: ა. სტაუდმეირი (27 ქ. 9 მ. 2 რ.), ნეში (20 ქ. 16 მ.), რ. ბული (18 ქ.), ბარბოსა (13 ქ. 3 მ. 3 პ.), კურტ ტომასი (12 ქ. 4 მ. 3 რ.)	
სან ანტონიო: დანკანი (29 ქ. 11 მ. 2 დ.), ტ. პარკერი (13 ქ. 3 მ.), ბ. პოუენი (13 ქ.), ფინლი (11 ქ. 3 მ.)	
სერია 1:1	

ინტერვიუ გრეგ პოპოვიჩთან

სანზი იბრძოდნა რვენ გვეიჩინა

ჯინობილის, გარისა და ელსონს ბარნიტში გაცვლიან?

“ფინიქსის” და “სან ანტონიოს” სერიაში ანგარიში გათანაბრდა. სტივ ნეშმა და მისმა თანაგუნდელებმა მეორე და მეოთხე 12-ნუთეულეებში “სპურსის” ნაქები დაცვა დაშალეს, დაბალანსებული შეტევილი ოპონენტს უდიდესი პანდიკავი შეუქმნეს და ტეხასური ვიოაჟის წინ ოდნავ მაინც გამოიკეთეს განწყობა. “სან ანტონიოს” მთავარი მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი მასშედილებთან შეხვედრისას უჩვეულოდ ენაწყლიანი იყო. ტრაფარეტული პასუხების ნაცვლად, გამოცდილმა სპეციალისტმა ფართოდ ისაუბრა თავისი გუნდის წარუმატებლობაზე, სულ ბოლოს კი გრეგს ინტერვიუსა და, ალბათ, მთელი ლიგისთვის უმნიშვნელოვანეს კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა. მოკლედ, გთავაზობთ ინტერვიუს გრეგ პოპოვიჩთან.

- გრეგ, ზედიზედ მეორე მატჩია, ჯინობილი საკუთარ თავს არ ჰვავს. მანუს ტრავმა ხომ არ ანუხებს?

- არა, ჯინობილი ჯანმრთელადაა. უბრალოდ, “ფინიქსი” ძალიან კარგად კითხულობს ჩვენს შეტევებს და პირველი მატჩისგან განსხვავებით, როდესაც მანუს პასიურობა საბედნიერად, ჩვენს ნაგებებში არ აისახა, მეორე მატჩში ეს ფაქტორი გადამწყვეტი გამოდგა. არასოდეს დამიმაღლეს, რომ ჯინობილი ჩვენი გუნდის ძალიან მნიშვნელოვანი წევრია და თუ მას თამაში არ მისდის, ეი. “სპურსს” სერიოზული პრობლემები აქვს. ერთი მატჩის მსვლელობისას ყველაფრის გადწყობა სწორად მიხდება, მაგრამ ძალიან იშვიათია, როდესაც მანუ ზედიზედ ორ თამაშს, თანაც ფლეი ოფში ერთსა და იმავე ოპონენტთან დაბალ დონეზე ატარებს. იმედი მაქვს, საკუთარ მოედანზე ჯინობილი უფრო აქტიური იქნება და შეტევაში დროულ და სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

- დანკანი არაჩვეულებრივ კალთბურთის თამაშობს.

- ტიმს “ფინიქსთან” თამაში ყოველთვის გამოსდის და გამოხატვის არც ეს სერიაა. მიხარია, რომ ისეთ ძლიერ ოპონენტთან, როგორც ამარე სტაუდმეირია, გაცილებით ასაკიანი დანკანი ფიზიკურად არ დაიჩაგრა. “ფინიქსსა” და “სან ანტონიოს” შორის ორი წლის წინათ გამართულ სერიაში, ამარე ტიმის მიკროტრავმით ისარგებლა და გადაგვიარა.

- ის სერია ხომ 4:1 მოიგეთ.

- კი, მაგრამ ამჯერად გამარჯვებულის გამოსავლენად გაცილებით მეტი მატჩის გამართვა გახდება საჭირო. “დენვერთან” სერიაში დაშვებული შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ.

- რას გულისხმობთ?

- “ნაგეტსთან” პირველივე საშინაო მატჩი წავაგეთ. მართალია, მერე ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოვიგეთ, მაგრამ ძალიან დიდი ენერჯია დაეხარჯეთ და ყველაფერმა ამა “სანზთან” მეორე მატჩში გუნდის თამაშზე გარკვეული ზეგავლენა იქონია.

- პარკერი ელემენტარულ სიტუაციებში ცდებოდა. ტონისთან სერიოზული საუბარი გექნება?

- ყველასთან სერიოზული საუბარი მექნება. არ გეგონოთ, რომ რასან დანკანმა სოლიდური ორმაგი დუბლით დაამთავრა მატჩი, იგი ნაგებების თანამონაწილედ არ უნდა მიმჩნედე, პირადი საუბარი მასთანაც დამჭირდება. ტიმს დაცვაში რამდენჯერმე კურტ ტომასი დაუსხლტა, ერთი-ორჯერ კი დაზღ-

ვევზე ასევე დააგვიანა. ასე რომ, ყველასთან სერიოზული საუბარი მექნება, თუმცა ერთი მატჩის ნაგებობა ტრაგედიის ნამდვილად არ შეეკნით. მაგალითი “ფინიქსისგან” უნდა ავიღოთ. “სანზი” პირველი მატჩის შემდეგ ჩვენზე გაცილებით დიდი ზეწოლის ქვეშ მოექცა, რადგან მეორეჯერაც რომ წავეგო, მომდევნო წრეში გასვლის შანსებს კიდევ უფრო გაიუარესებდა. “ფინიქსმა” დიდი ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახა და იმედი მაქვს, ამის გაკეთებას ჩვენც შევძლებთ.

- გრეგ, მთავარი კითხვა - მართალია, თითქოს “სან ანტონიოსა” და “მინესოტას” შორის გრანდიოზული გაცვლა მზადდება?

- იქნებ, ამ გაცვლის მონაწილეებიც გამაცნოთ? - კევინ გარნეტი “სპურსში”, “მინესოტაში” კი ფრანსისკო ელსონი, ბრენტ ბერი, მანუ ჯინობილი და 2009 წლის დრაფტის პირველი ნომერი.

- ფლეი ოფი გვაცვს სათამაშო და ასეთ ინფორმაციას ვერც დაგვდასტურებთ და ვერც უარყოფთ. თქვენს მიერ დასახალგებულო სამი მოთამაშე “სან ანტონიოსთვის” მნიშვნელოვან, დიდ ძალას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ გარნეტის განვრთნა ნებისმიერი მწვრთნელისთვის დიდი პატივი და გამოწვევა იქნებოდა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ - ამ ინფორმაციაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი.

- ისე, კევინისა და ტიმის ტანდემი ჩემპიონობის ძალიან დიდი გარანტია იქნებოდა.

- მართლა ასე გგონია? მე რომ საპირისპირო ვითხრათ, დამიჯერებთ?


ზურაბ თალაკვაძე



გრეგ პოპოვიჩი

NBA. ლაურიატები. ახალბედების სუთიული

წყვილ-წყვილად



ხორხე გარბახოსა

ახალბედების პირველ სიმბოლურ ხუთეულში “პორტლენდისა” და “ტორონტოს” ორ-ორი წარმომადგენელი შევიდა. ბრენდონ როისა და ანდრეა ბარნიანის გაპირველგუნდებებში ეჭვი არავის ეპარებოდა, დარჩენილი ადგილებისთვის კი დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი.

საბოლოოდ, სპეციალისტებმა არჩევანი როის თანაგუნდელ ლამარკუს ოლდრიჯზე, ბარნიანის დარად, “ტორონტოს” კიდევ ერთ ევროპელ ხორხე გარბახოსაზე, “მემფისის” უნიჭიერეს ფორვარდ რუდენი გეისა და “მინესოტის” სათადარიგო გამოთამაშებელ რენდი ფოიეზე შეაჩერეს. ეს უკანასკნელი რეგულარულს პირველ ნახევარში “მგლებს” მყარი სათადარიგო იყო, მაგრამ მერე და მერე, როდესაც გუნდმა ფლეი ოფში გასვლის შანსი თითქმის ნულამდე დაიყვანა, მწვრთნელები მაიკ ჯეიმსის ნაცვლად ძირითადად უკვე ფოიეს აყენებდნენ.


ფოიეს ნაცვლად პირველ ხუთეულში “იუტას” რეზერვისტი ფორვარდი პოლ მილსეპი რომ ყოფილიყო, არც ამით დაშავდებოდა რამე. მილსეპს “ჯაზში” თავის პოზიციაზე კარლოს ბუზერისა და ანდრეი კირილენკოს შემდეგ უწევს თამაში, მაგრამ ლიმიტი-

რებულ დროში იგი მაინც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოვიდა და ერთ მატჩში საშუალოდ 6 ქულასა და 5 მოხსნასაც უყრიდა თავს. ნებისმიერ სხვა გუნდში მილსეპი ორმაგი დუბლების მანქანად იქცეოდა.

რაც ახალბედების სიმბოლურ ხუთეულებს ასახელებენ, პირველ გუნდში “პორტლენდის” წყვილი მეორედ მოხვდა. 1978-79 წლების რეგულარულის მიხედვით, პირველწლიანთა საუკეთესო კვინტეტში რონ ბრიუერი და მიჩალ ტომპსონი მოახვედრეს.

I სუთიული
ბრენდონ როი (პორტლენდი) - 58 (29)
ანდრეა ბარნიანი (ტორონტო) - 57 (28)
რენდი ფოიე (მინესოტა) - 48 (21)
რუდენი გეი (მემფისი) - 39 (12)
ლამარკუს ოლდრიჯი (პორტ) - 37 (14)
ხორხე გარბახოსა (ტორონტო) - 37 (14)

II სუთიული
პოლ მილსეპი (იუტა) - 36 (10)
ადამ მორისონი (შარლოტი) - 35 (12)
ტიარუს ტომასი (ჩიკაგო) - 26 (5)
კრეივ სიტი (მინესოტა) - 21 (1)
რაჯონ რონდო (ბოსტონი) - 10 (1)
ვალტერ ერმანი (შარლოტი) - 10 (1)
მარკუს უილიამსი (ნიუ ჯერსი) - 10 (1)



პარსკლავი

განოღე, ფრანგად დაპრეზიო...

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ფრანგმა ლორ მანოდუმ...

ამ განცხადების მიუხედავად, ფრანგულ პრესაში განდა ვარაუდები იმის შესახებ...



ლორ მანოდუ

კრიკი

გამონევა

პატონი ოსკარს აპოზიონება

ბრიტანელი მოკრივე რიკი პატონი ბრძოლაში ინვესტორს ოსკარ დე ლა შოიას...

მას ნათქვამი აქვს, რომ ოდესმე როტოს ნონაში დაბრუნებას აპირებს... - დასძინს პატონი...

გერაბ ლორთქიფანიძე

TV სპორტი

Table with TV sports schedule: 10 აპრილი, სუთაბათი, HTB-კლასი ფეხბურთი...

Table with TV sports schedule: 15:17 ფეხბურთი, პორტუგალიის ჩემპიონატი...

Table with TV sports schedule: 15:45 ჩოგბურთი, WTA-ს ტური, ბერლინი...

Table with TV sports schedule: SPORT 1 (კრიკი), 07:00 ფეხბურთი...

Table with TV sports schedule: EUROSPORT, 10:30 მძლეოსნობა...

Table with TV sports schedule: EUROSPORT-2, 09:30 ახალი ამბები...

Table with sports results: ფეხბურთი, ინგლისი, ჩალსი-მანჩესტერ იუნაიტედი...

Table with sports results: იტალია, სერია C1/B, ბარაჩო-რავანა...

Table with sports results: რუმინეთი, რომა: დონი, პანუსი...

Table with sports results: ესპანეთის თასი, 1/2 ფინალი...

Table with sports results: საბურთალოსი, სპორტ-მარაგალი...

Table with sports results: სერია-ბი, გორკო-ნანტი...

Table with sports results: უკრაინა, ფლავი რუტი...

Table with sports results: გუნდა-ალკააი, პერანგინი-აიასი...

Table with sports results: უკრაინის თასი, 1/2 ფინალი...

Table with sports results: სანტიაგო-ანდრესი, 2:1...

Table with sports results: სპორტული, სპორტული...

Table with sports results: სპორტული, სპორტული...

Table with sports results: სპორტული, სპორტული...

Table with sports results: სპორტული, სპორტული...

Table with sports results: ბალნეონი-ნაპლეონი, კონკრეტო-სანტიაგო...

Table with sports results: თურქეთის თასი, ფინალი...

Table with sports results: არმენია-ბეიქოთაი, ლ.დ. 0:1...

Table with sports results: რუსეთის თასი, 1/2 ფინალი...

Table with sports results: სპორტული, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...


Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...

Table with sports results: სერია-ბი, სპორტული...



კალათბურთი

ვინ განვითარდა იწიანად?

"ინდიანა პენსირის" ყოფილი მთავარი მწვრთნელის - რიკ კარლილის თანამშრომელმა, ჯონ დევისმა მომავალ წელს კლუბის განვითარების სურვილი გამოთქვა...

ნიქსი მაკაბის უმჯობესებას

"ნიუ იორკ ნიქსის" წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ამ ზაფხულს, საკუთარ "მედისონ სკვერ გარდენში" ამხანაგურ მატჩში თელ-ავივის "მაკაბის" უმჯობესდებიან.

პოეზი

აპირიკა პარიზში გაქვია

ბეჭდვის, "ნიუ ჯერსი დეველოპმენტს" ცენტრალური ფორვარდი ზაკ პარიზე მისკოვიჩი ჩავიდა და ამერიკის ნაკრებს შეუერთდა. ამ უკანასკნელს დღეს, მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხედფინალური მატჩი ელის ფინეთის ნაკრებთან.

შენაწილდნ ღარიანს აპირიკას

"ნიუ იორკ რინჯერსის" ფორვარდი ბრენდან შენეჰანი კარიერის დასრულებას არ აპირებს. მართალია, 38 წლის ვეტერანს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მოუღია, მაგრამ ის იქითკენ იხრება, რომ გაისად, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში თავისი მე-20 სეზონი ჩაატაროს.

ოლიმპიადი

პანკოვიჩი 2010

ორი მილიარდი ელირება

ბეჭდვის, 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა ბიზნეს-გეგმა გამოაქვეყნეს. როგორც ირკვევა, ვანკუვერის ოლიმპიადის ღირებულება 1.5 მილიარდ დოლარს უტოლდება. ორგანიზატორები ბილეთების რეალიზაციის მხრივ, დიდ მოგებას ვარაუდობენ, თუმცა, იქვე აცხადებენ, რომ სპორტის ზოგიერთ სახეობაში ანშლაგები დაგეგმილი არ არის.

კრიკი

პატონი სარჯელს რუნის ანდობს

IBO-ს მხრსი იმის ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონი - რიკი ჰატონი "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდ უინ რუნის თხოვნს, რომ მომავალ თვეში, ლას ვეგასში ხოსე ლუის კასტილიოსთან დაგეგმილი ბრძოლის წინ, სწორედ ამ ფეხბურთელმა გამოიტანოს რინგზე მისი საჩემპიონო ქაშარი.

გრიტინა და ლა პოინას იწიანს

მსოფლიო კრიკის სუპერვარსკვლავი, პუერტორიკოელი ფელიქს ტიტო ტრინიდადი რინგზე დაბრუნებას აპირებს. ტრინიდადმა ორი წლის წინათ, რონალდ ვინკი რაიტთან წაგების შემდეგ დაასრულა კარიერა, მაგრამ ახლა კრიკში დაბრუნება გადაწყვიტა, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მასთან ბრძოლას ლეგენდარული ოსკარ დე ლა შოია დათანხმდება.

პოლიციური 30 ივნისს იწიანს

ცნობილი გახდა 44 წლის ლეგენდარული მოკრივის, ევანდერ პოლიციელის მორიგი ბრძოლის თარიღი. ის 30 ივნისს, ელ პასოში (ტექსასის შტატი) შეხვდება 41 წლის ლუ სავარესს.

ტურნირების მიმოხილვა

ფედერერმა მოგებით დაიწყო

მარტალია, რომის მასტერსის წყვილთა ტურნირის პირველივე ნრეში გამოეთითა, მსოფლიოს პირველმა ჩოგბურთელმა როჯერ ფედერერმა ერთეულთა ტურნირი წარმატებით დაიწყო.

მაგრამ მას შემდეგ სხვადასხვა მიზეზების გამო, არასტაბილურად თამაშობდა, რის გამოც, რეიტინგში ასეულის მეორე ნახევარში გადაინაცვლა.

ATP INTERNAZIONALI BNL D'ITALIA რომი (იტალია), ტიხნარი საპრიზო ფონდი: 2 082 500 ევრო

Table with tennis player statistics for ATP Rome, including names like Agut, Berdych, and their match records.

II რაი როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)-ნიკოლას ალმადო (ესპ) 6:3, 6:4; ხოსე აკასუსო (არგ)-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 8) 6:4, 6:3.

WTA გერმანიის ლია გერლანი (გერმანი), ტიხნარი საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

Table with tennis player statistics for WTA German Open, including names like Agut, Berdych, and their match records.

პრატის ლია პრატა (ჩეხეთი), ტიხნარი საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი

Table with tennis player statistics for Prati Open, including names like Agut, Berdych, and their match records.



როჯერ ფედერერი

საპრიზო რეზულტატები

მისაპარი რეზულტატები: მისაპარი რეზულტატები: მისაპარი რეზულტატები...

ტიხნარი რეზულტატები

ტიხნარი რეზულტატები: ტიხნარი რეზულტატები: ტიხნარი რეზულტატები...

პრიზო რეზულტატები

პრიზო რეზულტატები: პრიზო რეზულტატები: პრიზო რეზულტატები...

პირველი ნომერი გამოვიდა

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი".

სპორტები

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მისაპარი რეზულტატები: მისაპარი რეზულტატები: მისაპარი რეზულტატები...

დამფუძნებლები: შპს ბაზათი, შპს საპრიზო რეზულტატები.

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი.

მისაპარი მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).